ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 42 (1327) | 23-29 ოქტომბერი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპართა გაკვეთილები

ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ!

უნდა ვილაპარაკოთ მეგრელობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადიარაღად გაუხდიათ და ლამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის...

თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრულიც ძირითადი ქართული!.. ძველად „კოლხეთი“ ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევანდელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნაწილი იყო მთლიან საქართველოსი მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფეები, აფხაზთა მეფეებათ იწოდებოდენ. როდესაც მონღოლობამ საქართველო დასცარა და ერთიანი საქართველო ორ სამეფოდ, ამერ-იმერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთავოებმაც დამოუკიდებელი მთავრობა მოინდომეს და მათ უგნურს და ქვეენისთვის მავნებელ პირადობას გარეშე პოლიტიკამ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შინაური კინკლაობა. ძმები ერთმანეთს ჩამოაშორა, მაგრამ მაშინ კიდეც არც ერთს სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს, არც სვანეთსა და არც სამეგრელოს, არ დავიწყებიათ რომ ქართველები იყვნენ!.. წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი, ყველასი, იყო ქართული და ქართული. თავის თავის სხვა ვინმედ წარმოდგენა არ შეეძლოთ, და სხვებს რომ ეთქვათ შეურაცხყოფათ და გაკიცხვად მიიღებდენ. მართალია, ერთმანეთში, შინაურობაში ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთ-ტომობა, სისხლ-ხორცობა და კავშირის გაუწყვეტლობა. ამ ოცდაათის წლის წინეთ, რომ სამეგრელო იმერეთს შემოუერთეს, სიხარულითა და ლიტანიობით მიეგება შეგნებული ნაწილი ორივე მხრისა!.. განსვენებულმა ალექსანდრე მიქელაძემ, მაშინდელმა თავად-აზნაურობის წინა-მძღოლმა, ლხინი გადაიხადა და უნდა გენახათ თუ რა ლხინი იყო ის ლხინი?!. დღევანდელ აღაპის მსგავსს სტუმრობასა და წვეულებას კი არ ჰგავდა, რომელსაც დიდი და პატარა ზარის ხმით „მრავალ-ჟამიერს“ დაბღავის და ღვინით იწუმპვებ!.. სძლის პირები, საერო და სასულიერო სხვა და სხვა გვარი „მრავალ-ჟამიერები“, გურული კრიმანჭულები, მეგრული ტკბილი ღიღინი და მრავალგვარი სუფრული, ყველა ერთად, სხვა-და-სხვა გვარად, მაგრამ საერთოდ კი, ნამდვილ ქართული გრძნობა-გონების გამომეტყველ-გამომხატველი, აშვენებდა სუფრას და ადიადებდა ლხინს. უნდა გაგეგონათ იქ, მეგრელების მჭევრმეტყველება და მათი გამტკიცული, გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი, საღ ყოფილან ნამდვილი ქართველებიო!

მას შემდეგ დიდმა ხანმა გაიარა და აბა თუ ვინმე იმას იტყვის, რომ მეგრელებს ან სიტყვით და ან საქმით მოეცესთ რამ საბუთი რომ ჩვენ ესთქვათ: ისინი აღარ ქართველობენო!.. პირიქით... ქართველობა დღეს იმათ უფროც ეტყობათ: ჩვენ საზოგადო საქმეებში მეტს მონაწილეობას ისინი იღებენ. ქართულს ჟურნალ-გაზეთს ისინი მეტს იწერენ, წიგნებს სამეგრელოში უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში, გარდა გურიისა; საერო საქმის თანამგრძნობნი არიან და მაშ რაღაში მდგომარეობს მათი ჩვენგან განცალკევების სურვილი?.. თუ იმას ვიტყვით, რომ იმათ შინაურობაში (განსაკუთრებით დაბალ წოდების ხალხს) მეგრულ კილოზე ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და სადარბაისლო ქართული იმათ ჩვენზე ნაკლებ არ იციან?! მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე მეგრული დღეს სალარო ნამდვილ ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოღოია, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ გურჩვეთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი. — ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ, იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე“ ვისაუბროთ: ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ქვეენად ერთმა თაგვმა გააჩინაო“. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ მეგრელები ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენა არისო... ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტკიცეს!.. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო?.. მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობაო და სხვანაო!.. მაგრამ იმავე დროს ნუ თუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნოების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო! დაუცაცხანეს იმ ახირებულ ფილოსოფოსს და მოსვენებას აღარ აძლევენ...

მეგრელების შორს-მჭვრეტელობამ და წინ-დახედულობამ კუდი აღარ მოაქნევია უჯერობასა და უსამართლობას... კუჭის მიმდევარი ინტელიგენტები გამოდიან დღეს ასპარეზზე და შფოთს აგდებენ მოძმეთა შორის. ეს სულ არჩევანების ბრალია!.. კაცს რომ სიმღერის ნება მისცე, მაგრამ იმ პირობით კი რომ პირზე ხელი დააფარო, რაღას იმღერებს?.. უხეიროდ შემოღებულმა არჩევანებმა როგორც ბანკისამ, ისე ქალაქისამ, დიდი ვნება მოუტანეს ჩვენ ცხოვრებას. — გაუღვიძეს საკუჭო სურვილები გაუსსნეს მადა ზოგჰერთ ინტელიგენტებს და ის ჩაადენიეს, რაც საკადრისი არ არის და არც წინეთ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ. ყოველ-გვარ საშუალებასა ხმარობენ ოღონდ კი თავისი გაიტანონ და გაიმარჯვონ!.. მარტო გამარჯვებითაც რომ აღარ თავდება უსიამოვნება?! ბრძოლის დროს, ერთმანეთის პირდაპირობასა და შეხლა-შემოხლის დროს გამოწვეული უსიამოვნება რჩებაო გულში და კერძო ცხოვრებაში შეაქვსთ იერიში... ეს კიდეც არაფერი, რომ ამ კერძო უსიამოვნების დროს, ვნებათა ღელვა არ აბრმავებდეს მეტოქეებს!.. თავისს პაწაწინა თავმოყვარეობას, წვრილმან კერძობას უფრო მაღლა აყენებენ საქვეენოზე და თითქმის ღალატს ჩადიან. მაგალითად: მეთაურობის ხელში ჩასაგდებათ გამოდიან მეტოქეები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან; ერთი მეგრელია, მეორე გურული, მესამე რაჭველი, მეოთხე ზემოური, მეხუთე ქვემოური და ამ გვარად სხვა რომ არა მიუძღვისთ-რა, ხრიკებს მიმართავენ ხოლმე და ბრბოს აბრიყვებენ: მეგრვლებო! მე მეგრელი ვარ და ჩემი დამარცხება თქვენი შეურაცხყოფა იქნებაო!.. გურულებო! მეგრელებმა რომ გვაჯობონ და მე გურული გავშავდე, თქვენი შერცხვენა იქნებაო!.. იმერლებო! გაიძახის იმერელი მეტოქე — მოგვადგენ მეგრელ-გურულები და აღარ გვზოგვენ... ბუზათაც აღარ გვაგდებენ და ჰკა მაგათ!.. დავანახოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვხურავსო... შავი მაგათო! და სხვანი. ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტრობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა, ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ღირს გამოკიდებაო. ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს!.. ძველათ, ბურთაობისა, ჯირითობისა და სხვა სავარჯიშო შექცევების დროს ორათ რომ გაიყოფოდენ ხოლმე მოთამაშეები, „არჩევანი“ და „არა-დანი“ იცოდენ... არეული იყვენ ერთმანეთში და არა დასდასად დაყოფილი: გურული ცალკე, მეგრელი ცალკე, სვანი კიდეც ცალკე და სხვანი. ამას მიტომ შვრებოდენ, რომ გაცალცალკევებას ცუდი შედეგი არა მოჰყოლოდა რა... და ჩვენ კი დღეს განძრახ ვცდილობთ, რომ ერთმანეთს დავაშოროთ და მტრობა ჩამოვაგდოთ როგორმე!.. ოჰ! **ეს დიდი სენია!!. და ამ თავითვე უნდა წამლობა!..** ამ საერთო ფილოქსერას, ჯერ კიდეც სანამ გარედან აზის დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას და ფესვებში არ გაჯდომია, შესაფერი საჭყაპელა ეჭირვება. დრო არის, რომ თავი დავანებოთ უაზროთა და უადგილოთ წარამარა „მრავალ-ჟამიერის“ ბღავილს და საჭირო სწორ-გზას დავადგეთ... შინაურობაში მივიხედ-მოვიხედოთ, „ჩემიან-შენიანობაზე“ ხელი ავიღოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვრულად მივეგებოთ და მტერს მტრულად დავუხვდეთ!..

აკაკი წერეთელი

1899 წ.

(აკ. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად; ტ. V გვ.264-268)

ომი ზოგისთვის უბედურებაა, ზოგისთვის გამდიდრების წყარო

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: დღეს აფხაზეთის ომით გამოწვეული უბედურებითა და არეულობით საზოგადოების ზოგიერთი, რბილად რომ ვთქვათ, ულირსი "წევრი მეტად მარჯვედ სარგებლობს და პირადი გამორჩენის მიზნით სხვისი უბედურებით ვაჭრობს. თანაც საქმე იმდენად ვირეშმაკულად აქვთ მოკვარაჭინებული, რომ დამნაშავეს არათუ ვერ იპოვნი, არამედ, ხმა თუ ამოიღე, იქით დაგდებენ ბრალს სამშობლოს ღალატსა და ქვეყნის ამოგდებაში.

საერთოდ, რაღა უნდა გაგიკვირდეს ადამიანს მას შემდეგ, როცა ბრძოლის ველზე, სადაც საქართველოს ყოფნა-არყოფნისა და მრავალი ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდება, ტყვია-წამლის ნაცვლად, თურმე, კონსერვები იგზავნებოდა, ხოლო მამასისხლად ნაყიდი იარაღი კი სამხედრო შტაბში „კონსერვდებოდა", როცა დანაღმული ობიექტები არ ფეთქდებოდა და ა.შ. კონკრეტული დამნაშავენი კი არადა არ ჩანან. ჯოხი ყოველთვის ვიღაც ავბედით „მესამეზე" ტყდება.

დიახ, თითქოს არაფერი აღარ უნდა გაკვირვებდეს კაცს ისეთ რამეს ნახავ და გაიგონებ, მაგრამ მაინც გიკვირს და გტკივა შენი სისხლხორცის, ქართველი კაცის დაცემა-გადაგვარება. გტკივა და თანაც ბრაზი გახრჩობს, რომ, მაშინ, როცა ყველაფერი უნდა კეთდებოდეს ომში გამარჯვებისთვის, როცა ერი უნდა იყოს მობილიზებული, თანადგომითა და თანალმობით გამსჭვალული, — დაქსაქსულნი ვართ, ბევრ ჩვენგანს ყურობალიშზე გეძინავს და ზოგჯერ ისე ვიქცეთ, თითქოს აფხაზეთი სხვისი მიწა-წყალი იყოს, ხოლო იქ მცხოვრები ქართველები-გეორგები.

ერთ ფაქტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. მოგეხსენებათ, იმის გამო, რომ აფხაზეთიდან დიდძალი ლტოლვილი ქართველი მოეშურება საქართველოს შუაგულისაკენ, მგზავრობა ყველაზე მეტად ჭირს. ხოლო რაც ჭირს და რაზეც მეტი მოთხოვნილებაა, ცხადია, ფულიც იქ იშოვება. ჰოდა, გიყვარდეს, ჩვენი სოლომონ ისაკიჩები და გობსეკები წველიან და წურავენ გაჭირვებულ ადამიანებს უკანასკნელ კაპიკებამდე. ასე. მაგალითად, თუ, ვთქვათ, კომერციული ავტობუსით თბილისიდან ქუთაისამდე მგზავრობა 150 მანეთი ღირს, უკან იგივე გზა, ასევე კომერციული ავტობუსით, იმავე დღეს 250 მანეთია! (ასე იყო 18 ოქტომბრამდე. სხვათა შორის, მგზავრობის სიძვირით მათ არც სახელმწიფო საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ჩამორჩებათ, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ იქ ფასი ან სტაბილურად ძვირია ან ტრანსპორტი არ არის სტაბილურად). რა თქმა უნდა, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ ხდება ასეთი შეუსაბამობა. იმიტომ, რომ დასავლეთიდან საომარ მოქმედებების გამო დღითიდღე მეტი და მეტი ხალხი მოემართება საქართველოს ცენტრისაკენ. აბა, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს ასეთი ასტრონომიული შეუსაბამობის ასახსნელად ? საათნახევრით გამგზავრების დაგვიანება — იგივე, გზაში ტრანსპორტის მინიმუმ ორჯერ (ხანდახან სამუდამოდ) მწყობრიდან გამოსლა — იგივე, კომფორტი (დისკომფორტი) — იგივე, საფასი და გზა — იგივე, ფასი კი რატომღაც ორჯერ მეტი.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი. ქართველი ხიზანი, ტყე-ღრე ნასიარულები, ათი-თხუთმეტი დღის უძინარი, მშიერ-მწყურვალი, ხოჭის თუ ადლერის გზით ჩამოვიდა ქართულ ქალაქში და იქ უკანასკნელი გროშები უნდა გადაიხადოს მგზავრობის საფასურად. ეს კიდევ არაფერია. თუ, ღმერთმა ქნა და ავტობუსში შედგა ფეხი, იქ ახალი „სიურპრიზი" ელის. ქუთაისის სადგურში მოქმედებს ქურდბაცაცების ჯგუფი, რომლებიც პირწმინდად უსუფთავებენ ჯიბეებს ათასგანსაცდელგამოვლილ ადამიანებს.

ამის წამკითხველი კომერციული ავტოსანტრანსპორტო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ქუთაისის მილიციის მუშაკები, რომელთა შტაბი, სხვათა შორის, იქვე სადგურთან იმყოფება, ერთ ვაიუშველებლს ატეხენ: ჩვენ არაფერი ვიცით, ჩვენთვის არავის უცნობებია, თორემ ასე და ისე მოვიქცეოდითო და სხვა.

დიახ, ბატონებო, შესაძლოა თქვენთვის მართლა არავის მოუმართავს ხაჩივრითა და თხოვნით, რადგან ამ სვეგამწარებულ ადამიანებს სიამაყისა და ნახულ-განცდილი უბედურებების გამო ელემენტარულად სცხვენიათ დაჩივლება, თხოვნა, ხეწნა-მუდარა; რადგან საშინელი ომის კოშმარიდან მათ ნაგვემი სული და ოდნავმბეჟუტავი იმედიღა გამოიტანეს, რომელიც სამშობლოში ასეთი „სტუმართმოყვარეობის" შემდგომ, შესაძლოა, მაშინათვე მიინავლა, და მათთვის ყველაფერი სულერთი შეიქნა. ნუ ვიზამთ ამას, ხალხო! ნუ ჩავიდენთ კიდევ უფრო დიდ შეცდომას და ორიოდე გროშის გულისთვის ნუ ჩავკლავთ ომით გაუბედურებული ადამიანების სულში მოკიავე პაწია იმედებს!

ბოლოს და ბოლოს დავფიქრდეთ, დედამიწის ზურგზე ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი თითებზე ჩამოსათვლელი ხალხი ვართ, რომლებმაც მე-20 საუკუნის ბოლოსაც ვერ ვისწავლეთ ერთურთის გატანა და თანადგომა. დაგვიფაროს ღმერთმა, და ხომ შეიძლება ერთ დღეს ქუთაისლებმაც, სამტრედიელებმაც, გორელებმაც და თბილისლებმაც ლტოლვილთა ხვედრი გავიზიაროთ, თუ არ ვისწავლეთ ერთმანეთის ხელშეწყობა, თანადგომა და იმ „ერთი რამის სიყვარული, რასაც დაფარავს სჭირდება".

კობა ლიკლიკაძე

ძნელია მიხვიდე, ნუგეში სცე, ნაღველი გაუქარვო. იქნებ არც მოისურვონ იმ ხვაშიადის გამხელა-გაზიარება, ყოველ მათგანში რომ დაუსადგურებია.

რა არ გადიტანეს ამ ადამიანებმა, — დევნა, დამცირება, ახლობლის სიკვდილი, სახლ-კარის, სარჩო-სამადებლის თვალწინ გადაბუგვა და რაც ყველაზე გამოგნებელია, მომმის ღალატიც.

და მაინც ყოველდღიური საზრუნავი, მოვალეობის თანდაყოლილი გრძნობა, მძიმე ფიქრები ხვალინდელ დღეზე აიძულებთ ბედისწერას, სინამდვილეს თვალი გაუსწორონ, ქედი არ მოუხარონ.

თბილისის სათნოების სახლი ყველაზე დიდი ქომაგი და შემწე გახდა აფხაზეთიდან ჩამოსული ლტოლვილებისა. აქ მათ სულიერი სალბუნის გარდა მატერიალურ დახმარებასაც სთავაზობენ.

აი, რა გვითხრა ასოციაცია „კათარზისის" პრეზიდენტმა ბატონმა ზაურ ალადაშვილმა:

— აფხაზეთიდან ლტოლვილების ჩამოსვლის შემდეგ ჩვენი ისედაც არარეგლამენტირებული სამუშაო დღე კიდევ უფრო დაირღვა და დაიძაბა. ყოველდღიურად ვემსახურებით 150-ზე მეტ ლტოლვილს.

მოსახლეობას ძირითადად ჩვენთან მოაქვს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი რომელსც ლტოლვილებს ვურიგებთ. აქვე, ჩვენს სასადილოში ვკვებავთ და სახლშიც ვატანთ კერძებს. მათი უმეტესობა ხომ ნათესავ-მეგობრებს შეეკედლა და დღეს. კი მოგეხსენებათ, ყველას უჭირს.

— ბატონო ზაურ, რამდენადაც ვიცი, სათნოების სახლი არც ისე მდიდარია. რომ ყველას აღმოუჩინოს დახმარება. თუ გეხმარებათ ვინმე?

დღეს ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ზღვაში წვეთია. გადაუდებლად აუცილებელია შეიქმნას სამთავრობო დადგენილება, რათა ისედაც გამწარებულ-გაუბედურებულმა ლტოლვილებმა ზედმეტად და მოძულებულად არ იგრძნონ თავი. ეს პრობლემა საერთოა და მხოლოდ საერთო ძალისხმევით მოვერევით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ადამიანებმა დიდი სულიერი ტრამვები მიიღეს და ბევრ რამეს აღბათ ზედმეტად ეჭვითაც კი უყურებენ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ჩვენი გულგრილობით იმედის ნაპერწკალიც არ ჩავუქროთ, რომელიც თვითოეულ მათგანში ღვივის.

დღეს ლტოლვილებს სათნოების სახლის იმ მარაგიდან ვკვებავთ, რომელიც იანვრამდე უნდა გაგვენაწილებინა მწოლიარე, უპატრონო მოხუცებისათვის. არადა, რეალური დახმარებაც არ ჩანს. ახლახანს ჩემმა მეგობრებმა 50 ათასი მანეთი შემოიტანეს. მათ შორის ათი ათასი მანეთი გიორგი ცაბაძის ოჯახმა მოიკლო.

ამ ფულით მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ 500—500 მანეთი დავურიგეთ ლტოლვილთა იმ ოჯახებს, სადაც ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. დენარჩენები რიგს იკავებენ და ელოდებიან ქველმოქმედებას.

ჩვენც, ცხადია გულხელდაკრეფილი არა ვზივართ, ვუკავშირდებით რაიონებს, ვთხოვთ მოგვაშველონ პროდუქტები. დღეს, მაგალითად, თეთრი წყაროდან ჩამოაქვთ მათი მეურნეობებისა და ოჯახებში შეგროვილი ნობათი.

ამას გარდა, ჩვენმა ასოციაციამ მოხალისეებისაგან დააკომპლექტა მოწყალების დებისა და ძმების სანიტარული ჯგუფები, რომლებიც უსასყიდლოდ უვლიან საავადმყოფოებში მყოფ დაჭრილებს.

მოხალისეები აგრეთვე გვეხმარებიან შემოწირულებების მიღება-გაცემაში. იმ შემთხვევაში კი, თუ მოქალაქეს არა აქვს საკმარისი თვითონვე მოიტანოს შემოწირულობა, ჩვენი მოხალისეები ბინებზე აკითხავენ.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— მე მოგახსენებთ მხოლოდ იმაზე, რაც დაწყებული გვაქვს და მალე განხორციელდება. ჩვენი ეგიდით იბეჭდება ჯარისკაცის სამახსოვრო ბუკლეტი. ბუკლეტის გამოშვება გვიკარნახა აფხაზეთში მომხდარმა უბედურმა შემთხვევებმა, როდესაც იმის გამო, რომ არ იცოდნენ კონკრეტულ შემთხვევებში როგორ მოქცეულიყვნენ, ზოგიერთი მებრძოლი დაიღუპა.

პირველ ნაწილში იქნება რჩევები პირველ სამედიცინო დახმარებაზე, მეორეში კი — საბრძოლო ვითარებაში მოქცევის ელემენტარულ წესებზე.

სამედიცინო ინფორმაციები მოამზადეს ჩვენმა მოწყალების დებმა და ექიმებმ, სამხედრო კი — გვნერალმა ლევან შარაშენიძემ.

ბუკლეტს ბეჭდავს ოთხი სტამბა თავისი ხარჯებით.

პარალელურად მზადდება გულზე დასაკიდი ჟეტონები, რომელზეც აღინიშნება ჯარისკაცის სისხლის ჯგუფი. ჟეტონებს ამზადებს თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა, რომლის დირექტორია თემურ ხარებავა.

და აი, რასაც ახლა გეტყვით, ალბათ უფრო სიმბოლურია — ჩვენი მწოლიარე მოხუცები ქსოვენ წინდებს ფრონტელებისთვის. ძაფი მოგვცა მაუდ-კამვოლის კომბინატმა.

* * *

სათნოების სახლის ეზოში ლტოლვილები პროდუქტს ელოდებიან. ჩვეულებრივი თავყრილობისაგან განსხვავებით სიჩუმეს დაუსადგურებია. ყველა ჩურჩულით ლაპარაკობს, ბავშვებიც კი.

უმეტესობა, გასაგები მიზეზების გამო, ერიდება ვინაობის გამხელას. შავებით შემოსილ ქალს გამოველაპარაკე.

— გუდაუთიდან, ახალი სოფლიდან ვარ. იმ კაცისმკვლელების შემოსვლამდე გამოვარიდე ბავშვი. ჩვენებთან ერთი აფხაზი შესულა (დანარჩენები მეზობლის ეზოში ელოდნენ), მამა გარეთ გამოუყვანია. ჯერ დანით დაუჭრიათ, შემდეგ ავტომატის ჯერით დაუცხრილავთ. მთელი ავეჯი მანქანაზე დაუტვირთავთ. ...ისთვის მიუცია.

— მტერი გაგრაში რომ შემოვიდა, ჩვენს ეზოს ტანკებით მოადგნენ, — გულს მიხსნის შუახნის ქალი, — ჩემი 25 წლის შვილი და მეზობლის ორი ბიჭი სადღაც წაიყვანეს. სიძე-ქალი შვილის ქმარი ავტომატით მოკლეს. მეუღლე კი თოფით დაჭრეს. სამი მსუბუქი მანქანა წაიყვანეს. ერთი ჩვენი, ორი მეზობლის. შემდეგ კი ავეჯით დატვირთეს საბარგო მანქანები. თავისი შავბნელი საქმეები რომ მოამთავრეს, სახლი ბომბით ააფეთქეს. მე, ჩემი მეუღლე და შვილი ათი დღე ვიმალებოდით სიმინდებში, ღია ცის ქვეშ. ნათესავს მალულად მოჰქონდა საჭმელი. უბრალო თავშესაფარიც არ გვქონდა. სამჯერ ისეთი წვიმა მოვიდა, რომ მშრალი აღარაფერი დაგვიტოვა. ძლივს გამოვაღწიეთ სამშვიდობოს. ოჯახში თეთრმეტი სული ვართ და უსახლკაროდ დავრჩით. მთავრობას თვითონ რა აქვს და ჩვენ რითი დაგვეხმარება. თუმცა, ამას აღარ ვჩივი, ჩემს დატყვევებულ შვილზე ვდარდობ. ერთმა ნაცნობმა ამბავი მოგვიტანა, ცოცხალი უნახავთო, თუ ის გადამირჩა, ცოცხალი ადამიანი სახლკარს ააშენებს და ცხოვრებასაც მოიწევა.

72 წლის განიადელ რევაზ ნაცვალაძეს კი ვინაობა არ დუმალავს.

— ექვსი შვილი და 15 შვილიშვილი მყავს. მათგან ორი ვაჟი წინა ხაზზე იბრძოდა. უმცროსმა შვილმა დროზე გამაფრთხილა, რომ თავისთვის გვეშველა. რვა სული, როგორც ვიყავით, ისევე ჩავსხედით „მოსკვიჩში" და საზღვრისკენ წამოვედით. დანარჩენი ოჯახის წევრები ორი დღით ადრე გადავიყვანეთ ადლერის ჩაის მეურნეობაში. საზღვარზე ზღვა ხალხი დაგვხვდა. რუსი ჯარისკაცები სპეციალური ხელსაწყოებით გვსინჯავდნენ, იარაღი ხომ არ გვქონდა. აქედან კარგად ჩანდა, თუ როგორ იხევდნენ უკან ჩვენი მებრძოლები სროლა-სროლით. ნაწილი უკვე გადმოსულიყო. ბევრი დაჭრილი და დაღუპული მოიყვანეს. აქ ენახე ჩემი უფროსი ბიჭი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და სახლში იმიტომ დაბრუნდა, რომ მტერთან ბრძოლაში ჩაბმულიყო. მისგან გავიგე, რომ უმცროსი ძმა იქით, ჩვენს ტერიტორიაზე იბრძოდა.

რუსებმა საზღვართან დიდხანს აღარ გაგვაჩერეს იმ მიზეზით, რომ შეიძლება ტყვიები მოგვხვედროდა. აქვე

გავიგე, რომ მტერმა გაგრის საავადმყოფო გადაწვა.

ადლერში შევხვდი ოჯახის დანარჩენ წევრებს. იქიდან თბილისში გადმოვფრინდით.

დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებაც, რომ ჩვენი დაკავებული პოზიციების დაკარგვა ზოგიერთი ვაი-ქართველის ღალატმაც განაპირობაო, თუ ეს დამტკიცდა, არავის არ უნდა ეპატიოს ის სისხლის მდინარე, რომელიც რუსების, აფხაზების და ჩრდილოელი კაცისმკვლელების თავდასხმას მოჰყვა. მარტო მე რაც ვიცი, ჩემი მეზობლებიდან და ნათესავებიდან ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა.

* * *

ამსობაში ეზოში შემოვიდა თეთრი წყაროდან გამოგზავნილი პროდუქტით დატვირთული ორი მანქანა.

ლტოლვილებმა ფაცი-ფუცის გარეშე დაიკავეს რიგი. მეტი აღარავინ შემოწუხებია. ჰუმანიტარული დახმარების ოთახს ვეწვიე. აქ ყველგან და ყველაფერში იგრძნობა წესრიგი. ტანსაცმელს და ფეხსაცმელს თავის ადგილი აქვს მიჩენილი. ისე, როგორც მაღაზიაში. უნებურად მახსენდება შარშან, სამჩაბლოელი ლტოლვილისთვის შეგროვილი ღია ცის ქვეშ გორად დაყრილი ტანსაცმელი, თოვლი ფანტელებად რომ ადნებოდა...

გულდამძიმებული, მაგრამ მაინც იმედიანი გამოვედი სათნოების სახლიდან. მე მჯერა, რომ ყოველი ქართველი, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო, ვისაც გულით უყვარს თავისი თანამოძმე, ისეთივე მზრუნველობას გამოიჩენს უბედურებაში ჩავარდნილი თანამემამულის მიმართ, როგორსაც იჩენენ დღეს სათნოების სახლის წევრები ლტოლვილთა მიმართ. მხოლოდ ასეთი თანადგომა გადაგვარჩენს.

ჯემალ კასრაძე

ავტორის ფოტოები

მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს

ხარ, ან არა ხარ!..

ნიჭი ფულივითაა, — ან გაქვს ან არა გაქვს!

სამუილ მარშაკი

სადმე რომ წავიკითხოთ, ან მოვისმინოთ — ,,ახალგაზრდა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა..." ,,ახალგაზრდა მწერალი ილია ჭავჭავაძე...", ,,ახალგაზრდა პოეტის ლადო ასათიანის...", ,,ახალგაზრდა პროზაიკოსის გურამ რჩეულიშვილის...", ,,ახალგაზრდა მხატვარმა ფიროსმანმა..." ,,ახალგაზრდა რეჟისორის სანდრო ახმეტელის...", ,,ახალგაზრდა კომპოზიტორის ვიქტორ დოლიძის..." — აღშფოთებულები თუ არა, გაკვირვებულები მაინც დავრჩებით, ამ დიდ შემოქმედთა დამამცირებელ, კნინობით განსაზღვრებას, მივიჩნევთ რა თავსართ „ახალგაზრდა"-ს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ხოლო მივიჩნევთ იმის გამო, რომ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ვისმენთ რადიო-ტელევიზიით, ვკითხულობთ ჟურნალ-გაზეთებში ცოცხალ მავანთა და მავანთა მისამართით ნახმარ ამგვარ გამოთქმებს: ,,ახალგაზრდა პოეტის ლექსები გამოირჩევა...", ,,ახალგაზრდა მწერლის მოთხრობებში დახატულია...", ,,ახალგაზდა კრიტიკოსის წერილებში მოცემულია...", ,,ახალგაზრდა რეჟისორის ფილმში (სპექტაკლში) ვხედავთ...", ,,ახალგაზრდა მხატვრის ნახატებში შევიგრძნობთ...", ,,ახალგაზრდა კომპოზიტორის ნაწარმოებში გვესმის..."

* * *

და არა მხოლოდ მესამე პირში გვესმის, ვკითხულობთ ამ, მართლაც ყბადაღებულ „ახალგაზრდა"-ს.

ასევე წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ვისმენთ, ვკითხულობთ: ,,მე, როგორც ახალგაზრდა პოეტი...", ,,მე როგორც ახალგაზრდა მწერალი...", ,,მე, როგორც ახალგაზრდა რეჟისორი...", ,,მე, როგორც ახალგაზრდა კომპოზიტორი...", ,,მე, როგორც ახალგაზრდა მხატვარი..." და ა.შ. და ა.შ. (,,ახალგაზრდა მეცნიერი...", ,,ახალგაზრდა ინჟინერი...", ,,ახალგაზრდა იურისტი...")

* * *

შესაბამისად პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა ცნებები: ,,ახალგაზრდული პროზა", ,,ახალგაზრდული პოეზია", ,,ახალგაზრდული კინო", ,,ახალგაზრდული მხატვრობა"...

* * *

არადა, ხშირად ეს „ახალგაზრდები" კარგად მოსული, 35-ს, 40-ს, 45-ს, 50-ს გადაცილებული, ოჯახის, შვილების (შვილიშვილების), პატრონი, დარბაისელი მამაკაცები (მანდილოსნები) ბრძანდებიან!..

* * *

ამ დროს კი:

ლადო ასათიანი და გურამ რჩეულიშვილი 26 წლის ასაკში დაიღუპნენ, ნიკოლოზ ბარათაშვილი — 27 წლის, სანდრო ახმეტელი — 40 წლის (შეიძლებოდა მოგვეყვანა 40 წელს მიუღწეველი უცხოელების — ლერმონტოვის, პუშკინის, ბაირონის, მოცარტის, რაფაელის, მოდილიანის და სხვათა მაგალითებიც. ბოლოსდაბოლოს, იესო ქრისტემ 33 წლისამ დაასრულა ამქვეყნიური ცხოვრება)...

* * *

რა მოხდა მერე, რა შავდება ამ „ახალგაზრდულის" ძახილითო! — იტყვის ვინმე.

შავდება ის, რომ:

1. „ახალგაზრდა შემოქმედისა" თუ „ახალგაზრდა სპეციალისტის" მიმართ მოთხოვნებიც, შეფასებებიც „ახალგაზრდულია", რაც, დაახლოებით ამგვარად გამოიხატება: ,,ჯერ ახალგაზრდაა... ეპატიება!", ,,ახალგაზრდაა, მკაცრად ნუ მიუდგებით მის შემოქმედებას (ნაშრომს, ნაკეთობას), ,,კი, ნაწარმოები (ნაშრომი) ვერაა სათანადო დონის, მაგრამ ავტორი ახალგაზრდაა, დავუბეჭდოთ (დავადგმევინოთ, გადავაღებინოთ, გამოვაფენინოთ)...

შედეგად?

ღირებულებათა გაუფასურება, კრიტერიუმთა აღრევა, — როცა მთავარია არა „ნიჭი, ძმიკო, ნიჭი!", არამედ „ახალგაზრდაა, ახალგაზრდაა..." ახალგაზრდობის ფაქტორი ხდება უსაფუძვლო თვალის დახუჭვის, შეღავათების, პრივილეგიების საფუძველი. ეს კი დაუშვებელია ლიტერატურაში, ხელოვნებაში მეციერებაში (საერთოდ ყველა სფეროში), სადაც ნაწარმოებზე, ნაშრომზე უნდა ლაპარაკობდეს თავად ნაწარმოები, ნაშრომი და არა მისი ავტორის ასაკობრივი ცენზი. მით უფრო, როცა ეს ცენზიც ულვთოდაა დარღვეული!..

* * *

2. „ახალგაზრდობა" ადამიანის შემოქმედებითი თუ სამსახურეობრივი წინსვლის დამაბრკოლებელი ფაქტორადაც იქცევა ხოლმე: ,,ჯერ ახალგაზრდა მწერალია, მოიცდის!..", ,,ახალგაზრდა რეჟისორია, ჯერ ახალგაზრდულ თემებზე იმუშაოს!..", ,,ახალგაზრდა მხატვარია, ამხელა თემას ვერ მოერევა!..", ,,ახალგაზრდა მეცნიერია (ინჟინერია, იურისტია) თავისი ადგილი იცოდეს!.., ,,ჯერ ახალგაზრდა კაცია ამ საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის!.."

შედეგად?

ისევ ღირებულებათა გაუფასურება, კრიტერიუმთა აღრევა, შეღავათები, პრივილეგიები... ოღონდ, ახლა

გურამ რჩეულიშვილი

უკვე „ძველგაზრდების" სასარგებლოდ და „ახალგაზრდების" საზიანოდ!..

* * *

საბოლოო ჯამში კი...:

ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება, მთლიანად საზოგადოება ხომ ზარალდება და ზარალდება ორივე ამ შემთხვევაში, ზარალდებიან თავად „ახალგაზრდებიც". და არა მარტო აღნიშნული მეორე ფაქტორის გამო. ეჩვევიან რა „ახალგაზრულ" შეღავათებს, პრივილეგიებს, თვითონაც კარგავენ მომთხოვნელობის გრძნობას საკუთარი თავის, შემოქმედების, ნაღვაწის მიმართ, რაც სრულიადაც არ მოქმედებს დადებითად მათს შემოქმედებით ზრდაზე, მით უფრო, რომ ძალიან სწრაფად უკვე იქით უჩნდებათ პრეტენზიები, როდესაც ხმამაღლა აცხადებენ, ,,მე, როგორც ახალგაზრდა...". ამ განცხადებაში ერთდროულად თხოვნაც ისმის („მკაცრად ნუ განმსჯით!..") და მოთხოვნაც („მეტად დამაფასეთ, მაღიარეთ, დამაჯილდოვეთ, დამაკმაყოფილეთ, დამაწინაურეთ"...)...

* * *

„ძველგაზრდებს" რისთვის სჭირდებათ „ახალგაზრდაა, ახალგაზრდაა"-ს ძახილი?

ამათაც იგივესთვის სჭირდებათ — საკუთარი თვითდამკვიდრება — თვითგანმტკიცებისათვის.

როდესაც სხვას შემწყნარებლურად „ახალგაზრდა მწერალს", „ახალგაზრდა მეცნიერს" თუ „ახალგაზრდა სპეციალისტს" ეძახი, უკვე მარტო ამით მასზე „მეტი ხარ", მასზე მაღლა დგები! შეგიძლია მფარველურად ელაპარაკო, მხარზე ხელი მოუთათუნო, თავზე ხელი გადა[illegible] შვილურად" და[illegible] გო, ყური აუწიო... თუ „თავს გაუვა" — მკაცრად შეახსენო, რომ მართლა ახალგაზრდა კი არაა! და შეღავათ-პრივილეგიების „ჟანგბადის" შეწყვეტით დაემუქრო (და შეუწყვიტო კიდეც)...

* * *

ერთი სიტყვით, ხელი-ხელს ბანს!..

* * *

და მერე გვიკვირს ჩვენი „ახალგაზრდობის" ერთი ნაწილის უინიციატივობა, უგერგილობა, უპასუხისმგებლობა...

* * *

ამასთან ერთად „ახალგაზრდული" განსაზღვრება ერთ „უხერხულობასთანაცაა დაკავშირებული.

თუ ბოლომდე „ლოგიკურნი" ვიქნებით, „ახალგაზრდულ ნაწარმოებად" უნდა ჩაითვალოს... „კაცია-ადამიანი?!", რომელიც ილიამ 26 წლის ასაკში გამოაქვეყნა! ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ" მთლად „სანორჩე ლექსი" ყოფილა, რადგანაც 16 წლის ასაკში დაიწერა („ფიქრნი მტკვრის პირას" — 20 წლის ასაკში)!.. ფარდობითობის თეორია „ახალგაზრდა მეცნიერმა „— ალბერტ აინშტაინმა შექმნა. ამ დროს იგი „სულ რაღაც" 26 წლისა გახლდათ! და მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ისევე როგორც საპირისპირო ხასიათის მაგალითებისა, როცა „არაახალგაზრდები" „ახალგაზრდულ" ნაწარმოებებს ქმნიდნენ და ქმნიან!..

* * *

ასე რომ, „ახალგაზრდა" მეტად პირობითი ცნებაა, რომელიც ხშირად სრულიადაც არაა ასაკთან დაკავშირებული. შესაბამისად (ჩემი აზრით, რასაკვირველია) — უნდა შევეშვათ წარამარა „ახალგაზრულის" ძახილს. და რა თქმა უნდა, არა მარტო ძახილს — „ენის მოჩლექას", „თავზე ხელის გადასმას", „მხარზე ხელის თათუნს", „მამაშვილურ ტუქსვას"... მოკლედ, როგორც „ახალგაზრდულ შეღავათებს", ისე „ახალგაზრდულ შეზღუდვებს"...

* * *

რამეთუ:
მწერალი ხარ, ან არა ხარ!
მხატვარი ხარ, ან არა ხარ!
რეჟისორი ხარ, ან არა ხარ!
მეცნიერი ხარ, ან არა ხარ!
და ა.შ. და ა.შ.

ლადო ასათიანი

და თუ ხარ, ხარ ყოველგვარი თავსართის გარეშე —
ხარ მწერალი! და არა „ახალგაზრდა მწერალი".
ხარ მხატვარი! და არა „ახალგაზრდა მხატვარი".
ხარ რეჟისორი! და არა „ახალგაზრდა რეჟისორი".
ხარ მეცნიერი! და არა „ახალგაზრდა მეცნიერი".
და ა.შ. და ა.შ.

ფელიქს კოჟიაშვილი

დემოკრატია მოკვდა. გაუმარჯოს დემოკრატიას!

ნოდარ ნათაძე

მკითხველი მიხვდება, რომ ეს სიტყვები მიბაძვაა მონარქიულ საზოგადოებებში გავრცელებული გამოთქმისა — „მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!“ (იგულისხმება, რომ ძველი მეფის სიკვდილს თან სდევს ახალი მეფის ასვლა ტახტზე). იმასაც მიხვდება, რა უნდა იგულისხმებოდეს ძველი დემოკრატიის სიკვდილში და ახლის დღეგრძელობაში: დღემდე ჩვენში გავრცელებულ რბილსა და ზრდილობიან ბრძოლას დემოკრატიისათვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის, როდესაც კომუნისტური რეჟიმი დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ხათრით თუ შიშით ერიდებოდა ლენინ-სტალინურ მეთოდთა გამოყენებას თავისი პოზიციების დასაცავად, როცა თავის სამშობლოში, ანუ რუსეთში იგი მეტ-ნაკლებად თვინიერ დისიდენტთა ანუ „სხვაგვარად მოაზრეთა“ კულტივაციას ახდენდა და, მათი წყალობით, ეროვნული თავისუფლების ლოზუნგით გამოსულ არარუსებსაც მეტ-ნაკლებად ინდობდა, — ციფრებითა და იურიდიული მიმართებებით თუ ვიმსჯელებთ, ბოლო მოეღო. ბოლო მოეღო იმიტომ, რომ შერბილებულმა და სახეშეცვლილმა კომუნიზმმა, რომელიც მსოფლიო ისტორიამ ამ რამდენიმე წლის მანძილზე საბოლოოდ მოისროლა თავის სანაგვეზე, შესაძლოა, საქართველოში დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნების შედეგად კიდევ რამდენიმე ხნით (ან ძალიან დიდი ხნით, დიუვალიეს რეჟიმივით კუნძულ ჰაიტიზე) თავისი თავის რეანიმაცია შეძლო. მართლა ასეა თუ არა, ჯერ არ ვიცით. მაგრამ თუნდ ასე იყოს და თუნდ ისე, დემოკრატია ამით ფარ-ხმალს არ დაყრის. დემოკრატიისათვის, ადამიანის პირადი და ეროვნული თავისუფლებისათვის, ადამიანის ადამიანად დარჩენისათვის ბრძოლა ყველა შემთხვევაში გაგრძელდება. ოღონდ ახლა ამ ბრძოლას სხვა სახე ეძლევა. მისმა ყველა მონაწილემ იცის, რომ პასუხად ღია ან ფარული ტერორი, პატიმრობა, დევნა და რეპრესია ელის.

რა ქმნის განსხვავებებს თავისუფლების „ზრდილობიანსა“ და „უზრდელ“ დათრგუნვას შორის? ის, რომ ძველი კომუნიზმი თავისი სახელით მოქმედებდა, რაკი ყველა მის ნაბიჯზე მისი აკვანი და ციტადელი — რუსეთი — იყო პასუხისმგებელი. დღეს იგი **თავისი სახელით აღარ მოქმედებს**, ვინაიდან საქართველო რუსეთისგან დამოუკიდებელი სახელმწიფოა, და თუ რუსეთი ხელს ურევს ჩვენ შინაგან საქმეებში, ეს მხოლოდ ჩვენივე მოქალაქეებისა და თანამემამულეების, რუსეთის ჩვენში მაცხოვრებელი და ჩვენ შორის მყოფი აგენტებისა და შორით მოტრფიალეების ხელით ხდება.

სწორია თუ არა და, თუ სწორია, რამდენადაა სწორი ჩვენში მიმდინარე პროცესების ესოდენ პესიმისტური ინტერპრეტაცია? ამ კითხვის პასუხი ბოლო წლების მოვლენათა ანალიზმა უნდა მოგვცეს.

I. 1988 წლიდან გამსახურდიას პრეზიდენტობამდე

1987—88 წლიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მკვეთრი გაძლიერება მოხდა. მთავარი მიზეზი იყო რუსეთის რეპრესიული პოლიტიკის დასუსტება მოწინააღმდეგ მსოფლიოს მიერ სსრკ-სთვის თავისი დემოკრატიული ნორმების თანდათანობითი (და ზერელე) თავს მოხვევის შედეგად. ამ მოძრაობაში ზ. გამსახურდიას კვლავ დაბრუნებას მისი 1978 წლის ცნობილი მონანიების შემდეგ, პირველ ხანებში, ხელი შეუწყო მის წინააღმდეგ საგაზეთო კამპანიის მოულოდნელმა და, თითქოს, უსაბაბო გაშლამ ამ წლებში.

სსრკ-ს ხელისუფალთა გადაწყვეტილება ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან სისხლიანი ანგარიშსწორების შესახებ, უნდა ვივარაუდოთ, მიღებულ იქნა 1989 წლის 25 თებერვლის ჭეშმარიტად მასობრივი სამგლოვიარო მანიფესტაციის შემდეგ, როცა ქართველმა ხალხმა მკაფიოდ გამოხატა იმპერიისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების გორც არ დაიშლებოდა 1956 წლის 9 მარტს შეკრებილი ხალხი, მასობრივი დახვრეტის შესახებ გაფრთხილება რომ მიეღო. ეს ხალხის თავგანწირვის ერთ-ერთი გამორჩეული შემთხვევა გახლდათ). 9 აპრილის შემდეგ მოსკოვის ხელისუფლებამ დაინახა, რომ მანიფესტაციის რამდენიმე ლიდერის (გამსახურდია, კოსტავა, ჭანტურია, წერეთელი) დაპატიმრებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა არც მასშტაბით კლებულობს, არც ინტელექტუალური დონის მხრივ ეცემა — პირიქით, მასში ახალ-ახალი ფიგურები, პირველ ყოვლისა ახალგაზრდები ჩნდებიან დარბაზებში შეხვედრებსა და მიტინგებზე. შედეგად ახალი ცეკას მიერ აღებული იქნა ახალი კურსი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან თანამშრომლობისკენ ან „თანამშრომლობისკენ“, რაც მოიცავს მთელ პერიოდს 1990 წლის არჩევნებამდე. ამ პერიოდს ეკუთვნის საქართველოში უსისხლო და სისხლიანი შეიარაღებული ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება (ქვემო ქართლი, აფხაზეთი, ცხინვალის ზონა) — შესაძლოა, იმ მიზნითაც, რომ ქართველი ხალხის მიერ იარაღის შეძენის სტიმულირება მოეხდინათ ისეთ მასშტაბებში, რაც იმპერიის ბატონობისათვის სახიფათო არ იქნებოდა.

9 აპრილის ტრაგედიის შედეგად წარმოშობილი ემოციური ტალღის ფონზე **გარანტირებული იყო ეროვნული ძალების გამარჯვება** 1990 წლის 25 მარტის საპარლამენტო არჩევნებში, რის შედეგადაც საქართველო, ბალტიის ქვეყნებივით, თანდათანობითი უსისხლო განთავისუფლების გზაზე დგებოდა. ამას წინ უსწრებდა 1990 წლის 9 მარტს საქ. სსრ უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს ანექსიის ფაქტის აღიარება, რასაც მიაღწია სახალხო ფრონტის დეპუტაციამ ამ საბჭოში ქუჩიდან მხარდაჭერასთან ერთად. ზემოხსენებული საარჩევნო გამარჯვება ჩაშალა არჩევნების აქტიურმა ბოიკოტმა ეროვნული პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების დიდი ჯგუფის მიერ, რომლებმაც თავის თავს „შეურიგებელი ოპოზიცია“ უწოდეს და 13—14 მარტს ფილარმონიაში მოიწვიეს „ეროვნული ფორუმი“, 9 მარტის პარლამენტო გამარჯვებაზე კაგირების სახით. ამ ფორუმის, ფაქტობრივად, ერთადერთი ლოზუნგი — „ბოიკოტი საბჭოს არჩევნებს“ — რომ აბსურდული იყო, დღეს კარგად ჩანს: 25 მარტის არჩევნები არც ერთპარტიული იყო და არც მრავალპარტიული. ეს, უბრალოდ, არაპარტიული, მაჟორიტარული არჩევნები იყო, სადაც ყველას შეეძლო ოლქში იმ კანდიდატის წარდგენა, რომელიც მოესურვებოდა. ბოიკოტის ავტორები იყვნენ ზ. გამსახურდია, გ. ჭანტურია, ი. წერეთელი, ვ. მთავრიშვილი და სხვანი. მას უაღრესად ქმედით დახმარებას უწევდა საქართველოს ტელევიზია. შედეგად არჩევნებს მოაკლდა სწორედ ის მასა, რომელსაც ხმა უნდა მიეცა ეროვნული ძალებისთვის, და, ბუნებრივია, დარჩა ის კონტიგენტი, რომელსაც ხმა უნდა მიეცა კომუნისტთა კანდიდატებისთვის. ახლაც ვფიქრობ და მაშინაც ვამბობდი, რომ ის ბოიკოტი — პირდაპირ ან არაპირდაპირ — ხელისუფლების მიერ ინსპირირებული იყო.

მ. კოსტავა იმ დროს ცოცხალი ადარ იყო. რომ ყოფილიყო, რამდენადაც ვიცი, იგი არჩევნების ბოიკოტს მხარს არ დაუჭერდა.

სახალხო ფრონტმა მაშინ მთავრობისგან მოითხოვა არჩევნების გადადება და მრავალპარტიული სისტემით ჩატარება იმ მოტივით, რომ იმ დროს უკვე გაუქმებული იყო ოფიციალური თეზისი კომპარტიის, როგორც წარმმართველი პარტიის, რომლის შესახებ. ამ მოთხოვნამ ნაყოფი გამოიღო: არჩევნები მართლაც არ ჩატარდა. გამოცხადებულ იქნა არჩევნების ჩატარება მრავალპარტიული სისტემით უახლოეს მომავალში (თარიღის დაუზუსტებლად). ჯგუფმა, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან არჩევნების თემაზე (ვ. ხმალაძე, რ. შავიშვილი და სხვანი. ყველა არ მახსოვს), იმასაც მივაღწიეთ, რომ დეპუტატთა რაოდენობა ჩამოყვანილ იქნა სამასამდე (ხელისუფლების წინადადება იყო 400, ჩვენი — 200). იმ დროს მე მიკვირდა, რომ ხელისუფლება შედარებით ადვილად დაჰყვა არჩევნების გადადების მოთხოვნას. ამ გადაწყვეტილების მიღებას სულ სამიოდე დღე დასჭირდა. ახლა ვფიქრობ: ხომ არ იქნა სწორედ ამ მოლაპარაკების დღეებში დაგეგმილი ყოველივე ის, რაც შემდეგ მოხდა: **სუსტი, ანუ სახელმწიფოს მართვის უნარმოკლებული ლიდერების გამარჯვება მომავალ არჩევნებში, მათი უუნაროებით სახელმწიფოს ჩიხში მოქცევა და ეროვნული იდეის დისკრედიტაცია მოსახლეობის ნაკლებშეგნებული ნაწილის თვალში, კომუნისტებისდროინდელი „კეთილდღეობისა“ და უსაფრთხოების მონატრება ხალხის მიერ და კომუნისტი ხელისუფლების რესტავრაცია მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ახალი არჩევნების შემდეგ?** დაბეჯითებით ამას ვერ ვიტყვი. მაგრამ ის თვალშისაცემი მხარდაჭერა, რაც ზ. გამსახურდიას პოლიტიკურ ჯგუფს ჰქონდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის მზადების პროცესში მასობრივი ფალსიფიკაციის საშუალებათა ბრიდან, და ის სიადვილე, რომლითაც კომუნისტებმა ხელისუფლება მის ბლოკს დაუთმეს, ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს.

ზ. გამსახურდიას ერთგულება საქმისადმი პრობლემა იყო ბევრისათვის — მათ შორის ჩემთვისაც — მაგრამ ამაზე აქ არ ვიმსჯელებ. აღვნიშნავ მხოლოდ შემდეგს: გამსახურდიას მმართველობის დროს მრავალი იყო ჩვენი ქვეყნისათვის საზარალო ნაბიჯი, რომელიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც შეცდომა, მაგრამ ასევე შესაძლოა კვალიფიცირებულ იქნას როგორც დანაშაული. ამათში უმთავრესია **არმიის არშექმნა** არსებითად იმავე პირობებში, როცა ჩვენივე მასშტაბის სახელმწიფოებმა — სომხეთმა და აზერბაიჯანმა — ასიათასიანი და უფრო დიდი არმიები შექმნეს (ამ ერთ შეცდომას ვარჩევ სხვა შეცდომათა შორის იმიტომ, რომ იგი კვლავ ძალაშია და, ამ მხრივ, გამსახურდიას მიერ გაცდენილ ან თითქმის გაცდენილ 14 თვეს ახალი გაცდენილი ან თითქმის გაცდენილი 9 თვეც დაემატა).

II. გამსახურდიას წასვლიდან დღემდე

დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების დროს და შემდეგ მე იმ აზრისა გახლდით, რომ ამ მოვლენების საბოლოო შეფასების დრო ჯერ არ დამდგარა. ნაწილობრივ (მაგრამ **მხოლოდ** ნაწილობრივ) იგი უკვე დადგა. გამსახურდიას მმართველობას — ამ უძლურ დიქტატურას, ანუ დიქტატურის ყველაზე უარეს სახეს — საქართველო ხრამისკენ მიჰყავდა. ამგვარად, მისი წასვლა აუცილებელი იყო. მაგრამ ამისათვის უნდა გამოყენებულიყო ყველა სხვა საშუალება მანამდე, სანამ ძმათა სისხლისღვრა, ანუ სამოქალაქო ომი მოხდებოდა თბილისის ქუჩებში. სამოქალაქო ომს სჯობდა ყველაფერი — მათ შორის, ძალადობითი მეთოდებიც, მაგალითად ის, რომ მომხდარიყო მისი საყრდენი დამნაშავე პიროვნებების — ხელისუფლების მაღალ საჭეთმპყრობლების — დროებითი იზოლაცია, რის შედეგადაც პრეზიდენტი იძულებული იქნებოდა, პოლიტიკურ ასპარეზს გასცლოდა. ყველა ეს მეთოდი უგულებელყოფილი დარჩა. არჩეულ იქნა ყველაზე უარესი — პრეზიდენტის მოცილების მიზნით მთელ მის აპარატზე, ამ სიტყვის ფართო აზრით — საქართველოს იმ დროს არსებულ მთელ სუსტ სახელმწიფოზე — შეტევის მეთოდი. რა უპირატესობა ჰქონდა ამ მეთოდს სხვა — უსისხლო ან თითქმის უსისხლო ძალადობით მეთოდებთან შედარებით? არაფერი, გარდა იმისა, რომ ეს იყო ერთადერთი მეთოდი, როცა გამსახურდიას გადამგდები, ამასთან ერთად, ხელისუფლებასაც იღებდა. ამ მეთოდის არჩევა მიუტევებელია, მით უმეტეს, როცა ცნობილია, რომ საქართველოში იარაღის ბაზარს ერთადერთი რეგულატორი და, მაშასადამე, ოსის ბედსაც ერთადერთი რეალური წარმმართველი — რუსის ჯარი ჰყავს!

ხალხის პოზიცია იმ ტრაგი-

კული ძმათა ომის მანძილზე ვიცით: იგი, ძირითადად, მოვლენათა პასიური მაყურებელი იყო, რომელიც იმას კი არ კითხულობდა, რომელი ჯობია, არამედ მხოლოდ იმას, რომელია უარესი. ჭეშმარიტებას თვალი გავუსწოროთ და ესეც ვთქვათ: „სამხედრო საბჭოსი“ და „დროებითი მთავრობის“ შექმნას საქართველოში ხალხი უყურებდა არა როგორც ხელისუფლებაში ახალ პიროვნებათა დამკვიდრებას, არამედ როგორც საფეხურს უუნარო გამსახურდიას წასვლისა და უნარიანი შევარდნაძის მოსვლის პროცესში. ეს იყო ერთადერთი მოტივი, რომლითაც სასოწარკვეთაში ჩავარდნილმა და ერთიმეორეზე დაზვავებული უბედურებებით გაოგნებულმა ხალხმა მოვლენებში ჩარევაზე ხელი აიღო და ამ მძიმე ისტორიულ მომენტში ასპარეზი დათმო.

ის, რომ დეკემბერ-იანვარში „საერთო-სახალხო აჯანყება“ მოხდა და „დემოკრატიულმა ძალებმა გაიმარჯვეს“, ერთ-ერთი ყველაზე ცინიკური ზღაპარია ჩვენი ქვეყნის ზღაპრებით სავსე ისტორიაში. სინამდვილე უფრო მარტივია: მტრულმა ძალებმა, რომლებსაც საქართველოში ჯერჯერობით ძალიან ბევრი რამ ძალუძთ, ხელი ააღეს თავის უნებურ უძლურ ტიკინას, რომელსაც თავისი უნებური „მისია“ — ქვეყნის ჩიხში მიყვანისა და შეუგნებელთა თვალში ეროვნული თავისუფლების იდეის დისკრედიტაციის „მისია“ — უკვე შესრულებული ჰქონდა, და, ქართველთა უგნურებაზე, ანგარებაზე, ამპარტავნობაზე, ურთიერთდაუნდობლობაზე დაყრდნობით, თავისი სტრატეგიის ახალი ეტაპების განხორციელებას შეუდგნენ.

6 იანვრიდან დღემდე საქართველოს პოლიტიკური განვითარების იურიდიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური გზა ასეთია:

ა) იურიდიული გზა: იარაღით მყარდება „სამხედრო საბჭო“, რომელიც ქმნის „დროებით მთავრობას“. „დროებითი მთავრობა“ იწვევს (საკუთარი არჩევანით) „საკონსულტაციო საბჭოს“ (ანუ მხოლოდ სათათბირო ჯგუფს), რომელიც, ე. შევარდნაძის მოწვევის შემდეგ გარდაიქმნება უმაღლესი უფლებამოსილებებით აღჭურვილ „სახელმწიფო საბჭოდ“ და ივსება ახალი წევრებით (ისევ ისე, საკუთარი არჩევანით მიწვევის შედეგად. „სახელმწიფო საბჭოს“ შემადგენლობაში პიროვნებათა მიწვევა ხდება ან ინდივიდუალური მიდგომის წესით, ან პარტიების წარმომადგენლობის კრიტერიუმით). სახელმწიფო საბჭო იწვევს ე. შევარდნაძეს, რომელსაც ახალშექმნილი „სახელმწიფო საბჭო“ ირჩევს თავმჯდომარედ. სახელმწიფო საბჭო ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს და იღებს საარჩევნო კანონს, რომელსაც რამდენჯერმე ცვლის; აწესებს პარლამენტის თავმჯდომარის პირდაპირ არჩევნებს ხალხის მიერ; რაიონების ერთ ნაწილში ნიშნავს რწმუნებულებს, რომლებიც ახორციელებენ მართვას. ზოგან ახდენს ადგილობრივ მმართველთა არასრულ (არასაყოველთაო) არჩევნებს; ნიშნავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობით, და ატარებს საპარლამენტო არჩევნებს. მანამდე ნიშნავს მინისტრთა კაბინეტს. ტარდება საყოველთაო თანასწორი არჩევნები, რის შედეგადაც ირჩევა პარლამენტი და მისი თავმჯდომარე, რომელნიც საკუთარი ლეგიტიმურნი არიან, ვინაიდან არჩევნები ჩატარდა ძირითადად სწორად.

ამგვარად: 6 იანვრიდან დღემდე არსებული ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის და ყველა აქტის წყარო, არჩევნების დანიშვნისა და ორგანიზაციის ჩათვლით, არის ძალა, რომელმაც შექმნა „სამხედრო საბჭო“. არჩევნებზე ხალხის მისვლა და ხმის მიცემა არის საფუძველი ლეგიტიმური პარლამენტის და მისი თავმჯდომარის არსებობისა.

ბ) სოციალურ-ფსიქოლოგიური გზა: გარდა გამსახურდიას მომხრეებისა, რომლებიც აწყობენ მიტინგებს გამსახურდიას დაბრუნების ლოზუნგით, ხალხი დუმს. მიტინგებში, რომელსაც ხელისუფლება ტყვიით ჰხვდება, მონაწილეობენ არა მარტო გამსახურდიას მომხრეები, არამედ სხვანიც, არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტის მოტივით. ე. შევარდნაძის მოსვლას ხელისუფლებაში და სახელმწიფო საბჭოს მუშაობას არ ჰხვდება არავითარი რეაგირება ან ზეგავლენა ჭეჩის მხრიდან. ხელისუფლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მოწოდებას, რომ მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში და თავმჯდომარედ აირჩიონ შევარდნაძე, ამომრჩევლის მასობრივი დადებითი რეაქცია ჰხვდება. ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და თითქმის ერთსულოვნად აძლევს ხმას შევარდნაძეს. მნიშვნელოვანი ნაწილი აძლევს ხმას იმათაც, ვისაც შევარდნაძის პარტიად ან ბლოკად თვლის („მშვიდობას“, დემოკრატიულ პარტიას...). ამომრჩეველი აღიარებს შევარდნაძეს და უყურებს მას, როგორც ქვეყნის მხსნელს.

III. დღევანდელი ვითარება

დღეს მდგომარეობა ასეთია: დროებით ხელისუფლებას, პრაქტიკულად, მომხრე არ ჰყავს. იგი უაღრესად არაპოპულარულია როგორც, თავისი მოსვლის ისტორიის გამო, ისე ეკონომიკური კრიზისის და, განსაკუთრებით, გაგრის სამხედრო დამარცხების გამო. შევარდნაძე უაღრესად პოპულარულია, მაგრამ მხოლოდ როგორც შესაძლო მხსნელი საგარეო მტრისგან. დემოკრატიას მისგან არ მოელიან, მაგრამ მისი მმართველობის ამ პარამეტრს ყურადღების ცენტრში არც აყენებენ: მთავარია ქვეყანა დაიცვას, წესრიგი დაამყაროს (კატასტროფულ ბანდიტიზმს შეებრძოლოს), შიმშილობისაგან გვიხსნას (ის, რომ სამხედრო მარცხისთვის შევარდნაძესაც აწევს პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და არმიის არშემქმნელს ან ვერშემქმნელს, ცოტა ვისმე თუ აგონდება). დანარჩენ ხელისუფალთა არაპოპულარობის ფონზე საკუთარი პოპულარობა და ამომრჩევლისგან მიღებული მანდატი შევარდნაძეს საშუალებას აძლევს, თუკი მოინდომებს, შექმნას პირადი მმართველობის თითქმის ნებისმიერი მექანიზმი დანარჩენ ხელისუფლებათან ურთიერთობის გაადვილების მოტივით (ნამდვილი ან მოჩვენებითი დაპირისპირების პირობებში) და ეს მექანიზმი პატრიოტულსა და დემოკრატიულ ძალებთან ურთიერთობის გაადვილებისთვის (კონკრეტულად კი — მათი დათრგუნვისთვის) გამოიყენოს. ცხადია, ამგვარ ტაქტიკას დიდი სიამოვნებით შეუწყობს ხელს შევარდნაძის შარავანდს ამოფარებული კომუნისტური გადმონამთების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დღეს საქართველოში გავლენისა და ხელისუფლებისკენ მიისწრაფის მრავალი ფორმით, საპარლამენტო მისწრაფების ჩათვლით.

ეს თეორიული ხიფათი, რომელიც დემოკრატიულ ძალებსა და დემოკრატიას ემუქრება (ციმეორე: თეორიულად ემუქრება) ყოვლისმომცველი მანდატით აღჭურვილი პარლამენტის თავმჯდომარისა და ყოფილი კომუნისტი გუნდის მხრიდან, სავარაუდოა, მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ფორმების მატარებელი იქნება, მაგრამ როგორი ფორმები ექნება ამავე ძალებზე შემოტევას სხვა მხრიდან, სახელდობრ, შევარდნაძისადმი მეტოქეობის საფუძველზე დაპირისპირებული ძალების მხრიდან, რომელთაც, შევარდნაძისგან განსხვავებით, ოფიციალური პასუხისმგებლობა არაფერზე აკისრიათ და, ისევ შევარდნაძისგან განსხვავებით, არც ცივილიზებული მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებთან ყოველდღიური კონტაქტი უწევთ? ხომ ფაქტია, რომ ჩვენი ძირითადი მოწინააღმდეგის ქვეყანაში — რუსეთში — დღეს, სხვა მრავალგვარ ძალებთან ერთად, შევარდნაძის მოძულე ძალებიც არსებობს (პირველ ყოვლისა, გენერალიტეტის ერთი ნაწილის სახით), რომელსაც არ გაუჭირდება საქართველოში ერთგული დასაყრდენის პოვნა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური დახმარების ფასად ან, სულაც, უფასოდ, ადრიდანვე „ყურებით დაჭერილობის“ საფუძველზე! ამგვარი ძალები არც ფარულსა და ღია ტერორს, არც დივერსიებს, არც ადამიანებზე ნადირობას, არც ნებისმიერი მასშტაბისა და მიმართულების პროვოკაციებს არ მოერიდებიან, რათა დათრგუნონ რუსეთის იმპერიის მთავარი (და, არსებითად, ერთადერთი) მტერი ქართველთა შორის — ქართველი პატრიოტი და დემოკრატი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე. ტერორი ტერორს შობს და დესტაბილიზაცია — დესტაბილიზაციას. იმ უპასუხისმგებლო ძალების მიერ დამყარებული „დატერორებისა“ და „დაყაჩაღების“ პრაქტიკა, რისი მოწმენიც (ნაწილობრივ!) უკვე ვართ, შექმნის არასტაბილობის, ადამიანის სიცოცხლის გაუფასურების საერთო ატმოსფეროს, რომელიც სხვა პოლიტიკურ ძალებსაც ჩაითრევს თავის ორბიტაში, ზემოხსენებული „პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე“ ტოტალიტარისტული ძალების ჩათვლით. სურათი რომ ცოტა კიდევ შევავსოთ და განვაზოგადოთ, შეგვიძლია ასე შევაჯამოთ ნათქვამი: შევარდნაძის დღევანდელ პოლიტიკას რუსეთის მიმართ, რომელიც არც მორჩილია საბჭოთა კავშირის დროინდელივით და არც სავსებით დამოუკიდებელი, რუსეთში სხვადასხვა ძალები სხვადასხვაგვარად ეკიდებიან: ის, ვინც კმაყოფილია საქართველოს მიერ რუსეთისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრიორიტეტების მინიჭებით სხვა მეზობელი და არამეზობელი ქვეყნების წინაშე, საქართველოს შინაგან საქმეებში მისი არბიტრად მოწვევით, საქართველოში რუსის ჯარის დატოვებით და ა.შ., მხარს დაუჭერს საქართველოს სათავეში შევარდნაძის დგომას და შეეცდება, მასთან ერთად განავითაროს მისი და მისი გუნდის მიერ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის დათრგუნვის მექანიზმები; ვინც, პირიქით, უკმაყოფილოა შევარდნაძის უარისთქმით ჩვენი ქვეყნის რუსეთის ყურმოჭრილ კოლონიად დატოვების კონცეფციაზე, ის შეეცდება, შევარდნაძის საწინააღმდეგოდ განავითაროს და შეაიარაღოს საქართველოში ყველაზე ბნელი ძალა (არაქართველიცა და ქართველიც), შეეცდება საშუალებათა განურჩევლად გადაჩეხოს ჩვენი ქვეყანა ურთიერთბრძოლის, სოციალური, პარტიული და კუთხური გათიშულობის უფსკრულში და პირველ ყოვლისა, — რაღა თქმა უნდა — საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოსპოს. ამგვარად, თუ საქართველოში იმარჯვებს ე. შევარდნაძის მხოლოდ ნაწილობრივ დამოუკიდებელი პოლიტიკა რუსეთის მიმართ და ძირითადად ნაკომუნისტარი პარლამენტი — თუ, მაშასადამე, საქართველო არ ებრძვის (ან ვერ ებრძვის) მთელი ძალით რუსეთის გარეგანსა და შინაგან აგრესიას ჩვენს წინააღმდეგ — მაშინ ქართული დემოკრატია, ანუ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ორმაგი დარტყმის ქვეშ დგება: მეტ-ნაკლებად წესიერი დარტყმისა ხელისუფლების მხრიდან და პირწმინდად ტერორისტულ-მაფიოზური დარტყმისა ე. შევარდნაძის ხელისუფლების მეტოქე, ფარულად ან ღიად უფრო პრორუსული ძალების მხრიდან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში თავიდან იწყება — იწყება სისხლიანი ბნელეთიდან, ოღონდ იმ ერთადერთი განსხვავებით (ლენინ-სტალინის დროს არარსებულით), რომ იმპერია უკვე დამავლობის გზაზე დგას და ჩვენკენ გამოწვდილი მისი საცეცები ძალას გარდუვალად კარგავს. ამიტომ თვალი უნდა გავუსწოროთ ჭეშმარიტებას და ვთქვათ: დიახ, ეროვნული თავისუფლება და ადამიანური ღირსება ისეთი ფასეულობებია, რომელთათვისაც ბრძოლა ღირს ნებისმიერ პირობებში, რადგან მათ გარეშე სიცოცხლეს სიცოცხლე არ ჰქვია.

ზემოთ ამ აბზაცში შეგნებულად გავუსვი ხაზი სიტყვას „თუ“, რადგან ეს ბნელი სურათი, რომელიც მოვხაზე, უეჭველი არ არის. სახელდობრ, უეჭველი არაა, რომ საქართველოში არჩევნების შემდეგ ძალთა სწორედ ასეთი — ფაქტობრივად, მონოპოლიური — განლაგება არსებობს. არის თუ არ ასეთი სურათი მართლაც ამგვარი, ეს, დიდწილად, პარლამენტართა სულისკვეთებაზეა დამოკიდებული, რომელსაც, ალბათ, პარლამენტის მუშაობის პირველივე დღეები გამოაჩენს (და, ცხადია, თვით ე. შევარდნაძის სულისკვეთებაზე, რომელსაც მე პირადად ნდობით ვეკიდები). ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაზე უარესისთვისაც. საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთ უძნელეს მონაკვეთზე ჩვენ ის უნდა შევძლოთ, რომ საგარეო ომის პირობებში, მტრის შემართული მახვილის წინაშე დემოკრატიული და, მაშასადამე, სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოებრიობის დაფუძნებაზე ვიფიქროთ.

პრაქტიკულად, დღეს ჩვენ, საბრძოლოსა და ეკონომიკურის გარდა, შემდეგი იურიდიული და ადმინისტრაციული ამოცანებიც გვაქვს:

1. ა) უშუალოდ დგას პარლამენტის ხალხისმიერი მანდატის მქონე თავმჯდომარის ფუნქციათა და უფლებამოსილებათა განსაზღვრის ამოცანა, რამდენადაც ამომრჩევლის იმედი მის პიროვნებასთან დაკავშირებით მისგან, როგორც სახელმწიფოს მეთაურისგან, სწორედ პრაქტიკულ საქმეს მოელის, ბუნებრივია, რომ იგი აღმასრულებელი ფუნქციებით აღიჭურვოს, რისთვისაც რამდენიმე გზა არსებობს. ა/ დღეს არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების შეთავსება. ბ/ დღეს არსებულზე მაღლა მდგომი აღმასრულებელი ხელისუფლების შექმნა (მაგალითად, მინისტრთა კაბინეტზე მაღლა მდგომი თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პოსტის სახით). ნებისმიერ შემთხვევაში პარლამენტის მიერ პიროვნებისათვის უფლებამოსილების მინიჭება ან დადასტურება აუცილებლობით გულისხმობს

ა) ამ პიროვნების მიერ მოქმედების კონკრეტული პროგრამის წარმოდგენას;

ბ) ერთპიროვნულ უფლებამოსილებაზე ერთპიროვნული პასუხისმგებლობის არსებობას, კოლექტიურზე კოლექტიურისას და პირუკუ.

დღეს წარმოდგენილი პროექტი „სახელმწიფო საბჭოს“ შექმნისა, რომელიც ფაქტობრივად კომპლექტდება პარლამენტის თავმჯდომარის და მის მიერ წარდგენილი მინისტრთა კაბინეტის მიერ, მაგრამ რომელიც ამავე დროს ათავისუფლებს თავმჯდომარეს ერთპიროვნული პასუხისმგებლობისაგან, არის ბარბაროსული იურიდიული ნონსენსი, რომლის მიღება პარლამენტის მიერ დაუშვებელია.

2. ნებისმიერ თანამდებობის პირს, რომლის დანიშვნა ან დამტკიცება მოხდება პარლამენტის მიერ, უნდა მოეთხოვოს სამოქმედო გეგმის (პროგრამის) შეძლებისდაგვარად სრული და კონკრეტული წარმოდგენა.

3. აუცილებელია ადგილობრივი არჩევნების სასწრაფოდ ჩატარება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს ადგილზე სახელმწიფოს მიერ მართვის და ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ფუნქციათა მკაფიო გამიჯვნა.

თავდადების წილი... უგულებელყოფა და გულგრილობა

მე, როგორც ყოფილი დისიდენტი, იატაკქვეშა ორგანიზაციის „ეროვნული თვითშეგნების ალორძინება" კომიტეტის წევრი აქ არ შევუდგები იმის აღწერას, თუ რა ჯოჯოხეთი გამოვიარეთ სპეცბანაკებში; მკითხველის ყურადღებას არც იმას მივაპყრობ, თუ რა სიძნელეები შეგვხვდა სპეცბანაკებიდან დაბრუნების შემდეგ. მხოლოდ ერთს კი აღვნიშნავ: მე დღემდე უმუშევარი ვარ და ამ მხრივ მომავლის იმედიც არ მაქვს.

მიუხედავად ხსენებული სიძნელეებისა, წამითაც არ შემიწყვეტია პოლიტიკური მოღვაწეობა.

ე.წ. გარდაქმნის პერიოდში ქართველი ერისათვის პირველი რიგის ამოცანად მიმაჩნდა: შექმნილი სიტუაციის მაქსიმალურად გამოყენება, რაც ქართული მიწების კვლავ ქართველებით დასახლებაში, დემოგრაფიული კრიზისის დაძლევასა და ფართო მასებისათვის ინტეგრალური პოლიტიკის მიწოდებაში მდგომარეობს. ამ ამოცანების შესრულების მიზნით ლექცია-საუბრებს ვატარებდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეობა მივიღე სტიქიურ უბედურებაგანცდილი ადამიანების ჩასახლების საქმეში ახალქალაქის რაიონში, რის შესახებაც აჭარის გაზეთებმა მრავალჯერ აუწყა თავის მკითხველებს.

იმ ქარცეცხლიან დროში (ვგულისხმობ უკანასკნელ ოთხ წელიწადსაც) ყოველთვის მოვლენების შუაგულში ვტრიალებდი და, ჩემი გაგებით, ყოველთვის ჭეშმარიტების მხარეზე ვიდექი.

მსურს გავიხსენო ყოფილი პოლიტპატიმრების შარშანდელი (1991წ) შეხვედრა, რომელიც გაიმართა სანკტ-პეტერბურგში. ამ ფორუმის მონაწილე მეც გახლდით. ყოფილ პოლიტპატიმართა თავყრილობის განსჯის ერთ-ერთი მთავარი საკითხი რეპრესირებულთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა იყო.

შეხვედრის მონაწილეებმა ყრილობას მოახსენეს თავიანთ რესპუბლიკებში ყოფილ პოლიტპატიმართა მდგომარეობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ უკლებლივ ყველა რესპუბლიკაში ეს პრობლემა უკვე კარგა ხანია გადაწყვეტილია. ჩვენთან კი ამ კუთხით ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეს პრობლემა ასე გადაუწყვეტიათ: უპირველესად ოფიციალურად მოუხდენიათ ყველა ზემოთ ხსენებული კატეგორიის ადამიანების რეაბილიტაცია; სპეცბანაკებსა და საპატიმროებში ყოფნის შედეგად სამსახურიდან მოცდენა აუნაზღაურებიათ; ყველა ყოფილი პოლიტპატიმარი შესაფერისი სამსახურით უზრუნველუყვიათ; ავადმყოფებისათვის და საპენსიო ასაკმიღწეულთათვის (ეს ასაკი შეუმცირებიათ) პერსონალური პენსიები დაუნიშნავთ. ეს პრობლემა დადებითად გადაუწყვეტიათ, კერძოდ, უკრაინაში, სადაც ასობით ყოფილი პოლიტპატიმარია. ჩვენთან კი, ამგვარი კატეგორიის ადამიანები თითებზე ჩამოსათვლელია და მათთვისაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არაფერი გაკეთებულა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ, ვეტერან დისიდენტებს, რომლებმაც სკოლის მერხიდან დავიწყეთ არალეგალური მოღვაწეობა (პირადად მე ჯერ კიდევ 1955 წელს პატრიოტული მოღვაწეობისათვის კომკავშირის რიგებიდან გამრიცხეს) და მთელი ჩვენი ცხოვრება ეროვნულ საქმეს შევწირეთ, წლების განმავლობაში იატაკქვეშეთში მუშაობას ვეწეოდით, ასევე ხანგრძლივი დროით ურალსა და ციმბირის სასტიკი რეჟიმის მქონე კატორღებში უმძიმეს სამუშაოებს ვასრულებინებდნენ, რამაც ჩვენი ჯანმრთელობა უკიდურესად შეარყია — ქართველი ერის წინაშე არავისზე ნაკლები ღვაწლი არ მიგვიძღვის.

ბედის ირონიად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებმა 1937 წელს რეპრესირებული მოქალაქეების რეაბილიტაცია მოახდინეს და ისინი სათანადო პენსიებითაც უზრუნველყვეს, ხოლო ეროვნულ მთავრობას მათთვის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, ყურადღება არ მიუქცევია.

მე განცხადებით მრავალჯერ მივმართე დროებით მთავრობასა და სახელმწიფო საბჭოს იმის თაობაზე, რომ ყურადღება გამოეჩინათ ვეტერანი დისიდენტების მიმართ, რომლებმაც მრავალი წელი საპატიმროებსა და სპეცბანაკებში გაატარეს, მაგრამ — ამაოდ, მათგან პასუხიც კი არ მიმიღია.

არ ვიქნები მართალი, თუ იმას ვიტყვი, რომ საქართველოში ჩვენი ბედით არავინ დაინტერესებულა. მაგრამ ერთეული ადამიანის მცდელობა საქმეს ვერ შველის.

საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირის თავმჯდომარემ — არჩილ იოსელიანმა მრავალჯერ მიმართა შესაბამის უწყებებს ვეტერან დისიდენტების სოცუზრუნველყოფის თაობაზე. მანვე რამოდენიმე თვის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წერილი გამოაქვეყნა ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი მოუწოდებდა ყველას, ვისაც კი შეეძლო ამ საქმის მოგვარებაში თავისი წვლილი შეეტანა, ყურადღება გამოეჩინა და დახმარებოდა წარსულში რეპრესირებულ ადამიანებს. მაგრამ ა.იოსელიანის კეთილშობილურ მოწოდებას საზოგადოების მხრიდან სათანადო გამოხმაურება არ მოჰყოლია.

საჭიროა დროულად მოგვარდეს ზემოთ ხსენებული ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული საკითხები. მათ ხომ, ზოგიერთებივით, ასე ვთქვათ, არ შეუძლიათ არაოფიციალური გზით მოიპოვონ სარჩო-საბადებელი. ამიტომ ოფიციალურმა ხელისუფლებამ უნდა გამოყოს სახსრები, რათა ყოფილი პოლიტპატიმრები სათანადო პენსიებით უზრუნველყოფილ იქნენ და კვლავაც მთელი ძალისხმევით იღვაწონ სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ვაჟა ქლენტი
ყოფილი
პოლიტპატიმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომაა იძულებული ბ-ნი მიხეილ მახარაძე სხვისი სათქმელი თქვას?

გაზეთ „საქართველოს“ 1992 წლის 29-ე ნომერში (24—30 ივლისი) სათაურით „ზოგჯერ იძულებული ვარ სხვისი სათქმელიც ვთქვა“, გამოქვეყნდა თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის ბ-ნ მ.მახარაძის ინტერვიუ, სადაც, კორესპონდენტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ავტორი... მის ადრინდელ გამოთქმულ მოსაზრებათა დაკონკრეტებით შემოიფარგლა“. თვითონ ბ-ნი მ.მახარაძე ამ ინტერვიუში აცხადებს, რომ სათქმელი თითქმის ადარაფერი დამრჩაო. ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ ჭორს აყვა და მასზე ააგო მისი ეს ბოლო ინტერვიუ. ის ამბობს: „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ პოლიტიკოსისა და მეცნიერის პოზიცია. ის, რაც ეპატიება და მიეტევება პოლიტიკოსს, არ ეპატიება და არ მიეტევება მეცნიერს... მეცნიერი... მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ჭეშმარიტებას ემსახურებოდეს“ და იქვე დასძენს: ამ შემთხვევაში, როგორც მეცნიერი სწორედ მეცნიერებაზე ვაკეთებ აქცენტსო.

შემდეგ იგი გვაწვდის ინფორმაციას: „ახლახან მითხრეს, რომ ბათუმის უნივერსიტეტში, ამა წლის მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამ საქმის არასპეციალისტი“.

შუა საუკუნეების ფილოსოფიის სპეციალისტს, როგორც ბ-ნ მ.მახარაძეს აცნობს სასოგადოებას გაზეთი „საქართველო“, შუა საუკუნეებშიც კი არ მოუწონებდნენ იმას, რომ ვიღაცის რაღაც ნათქვამს ქვეყანას მოსდებს. ის, ვინც ბ-ნ მ.მახარაძეს ეს უთხრა, თვითონ რატომ იმალება და რატომ მიაჩნია, რომ დეზინფორმაციის გავრცელება თბილისის გაზეთების საშუალებით მხოლოდ რელიგიის ფილოსოფიის მკვლევარს ბ-ნ მ.მახარაძეს შეუძლია.

გაზეთ „საქართველოს“ მუშაკებს რომ ცოდნოდათ, რომ თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, რელიგიის ფილოსოფიისა და რენესანსის პრობლემების მკვლევარი, ბ-ნი მ.მახარაძე. ამავე ლოს ბათუმის ერთ-ერთი ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის კათედრის გამგეცაა, ისინი ამასაც მიუმატებდნენ მის ტიტულს.

ბატონი მიხეილი მეუოითებს, რომ „მეცნიერის მიერ გამოთქმული აზრებიდან უნდა „წეთაავდეს“ ჭეშმარიტება“. კეთილი და პატიოსანი, ბატონო ფილოსოფოსო, მაგრამ თქვენ თვითონ ხომ უნდა იცავდეთ თქვენს ნათქვამს? იქნებ თქვენი ეს რჩევა-დარიგებანი მხოლოდ სხვების გასაფრთხილებლად და ჭკუის სასწავლებლადაა გამიზნული? მაშინ ეს აჭარაში მორწმუნეთა მიერ გავრცელებულ ანდაზას ჰგავს: „ხოჯის ნათქვამი შეასრულე, ხოლო მის ბაკეთებულს ნუ გააკეთებო“.

ნამდვილი ფილოსოფოსები, მათ შორის შუა საუკუნეებისაც, დიდი სიბრძნითა და წინდახედულობით გამოირჩეოდნენ, სხვის ანკესზე არ წამოეგებოდნენ და სხვის სათამაშო ობიექტად არასოდეს იქცეოდნენ. არც თანამედროვე ფილოსოფოსებმა უნდა უღალატონ ტრადიციას და სხვის მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია დაზუსტებამდე ჭეშმარიტებად არ უნდა მიიჩნიონ. სწორედ აქ ცდება ფილოსოფოსი მიხეილ მახარაძე, როდესაც თავის ინტერვიუში ამბობს — ახლახან მითხრეს. მიხეილ მახარაძე თავის პუბლიკაციებში ხშირად იხსენიებს ი.ბ.სტალინს. გვინდა მოვაგონოთ ბატონ მიხეილს, რომ ი.ბ.სტალინს ეყო ვაჟკაცობა ეთიოპიის იმპერატორ მენგისტუ ხაილე სელასიე პირველისათვის ბოდიში მოეხადა, როდესაც მის განცხადებაზე: „ეს საქმე მავანმა და მაჭანმა ისე იცის, როგორც ეთიოპიის იმპერატორმა უმაღლესი მათემატიკაო“, მენგისტუ ხაილე სელასიე პირველმა დეპეშით უპასუხა, რომ ის უმაღლესი მათემატიკის სპეციალისტია მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით.

ამის შემდეგ ბატონი მიხეილი რამდენად გადასინჯავს საკუთარ მოსაზრებათა წინააღმდეგობრივ შინაარს, ეს მისი საქმეა. ჩვენ კი „საქართველოს“ მკითხველს მხოლოდ სიმართლე გვსურს ვუთხრათ, რა თქმა უნდა, არა სხვისი ნათქვამიდან, რამეთუ სხვისი ნათქვამით სიმართლეს ვერ დაადგენ, ითუმეტეს უხერხულია სხვისი ნათქვამის საფუძველზე მიცემული ინტერვიუს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელება. მკითხველი შეიძლება დაეჭვდეს ინტერვიუს ჭეშმარიტებაში, ვინაიდან რესპონდენტი არ ასახელებს თუ ვინ არის ის „არასპეციალისტი“, რომელსაც ბათუმის უნივერსიტეტის მიმღებმა კომისიამ ანდო მისაღები გამოცდების კომისიის თავმჯდომარეობა საქართველოს ისტორიაში. ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ გავუხილოთ ბ-ნ მ.მახარაძეს ეს „საიდუმლოება“, ვინაიდან, თუნდაც, ამ კაცის შესახებ ლაპარაკი მისთვის, როგორც ამას თვითონ ამბობს, „ტაბუდადებულ თემას“ განეკუთვნება. უკვე სამი წელია მრავალი წერილი დაიწერა ბ-ნ მ.მახარიძისა და ძმათა მისთა მიერ ამ კაცის შესახებ თბილისის გაზეთებში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ამ გაზეთების მკითხველს მათზე ერთი პასუხიც არ წაუკითხავს. ახლაც უკვე კარგა ხანი გავიდა და ბ-ნ მ. მახარაძის ვარაუდებზე აგებული ინტერვიუც უპასუხოდ რჩება. იბადება კითხვა: ბ-ნ მ.მახარაძისათვის იმ კაცის გვარის ხსენებაც ტაბუდადებულ თემას განეკუთვნება, ვინც ეს „საიდუმლოება“ გაანდო? ნუთუ მართლა შეცდა ბათუმის შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისია? ესაუბრა კი ბ-ნი მ.მახარაძე უნივერსიტეტის რექტორს, პრორექტორებს, ან მიმღები კომისიის რომელიმე წევრს, რათა შეემოწმებინა, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ის, რაც მას უთხრეს? იქნებ იგი იმდენად გულუბრყვილოა, რომ ჰგონია, რასაც ეუბნებიან ყველაფერი სწორია?

ჩვენ გვინდა მას შეეკითხოთ: რომელი საგნის სპეციალისტად ჩაითვლება კაცი, რომელსაც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, ოთხი მონოგრაფია, ათობით სამეცნიერო ნაშრომი, სტატია თუ წერილი მიუძღვნია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებისათვის? სწორედ ეს პიროვნება გახლავთ ის, ვის შესახებაც არასწორი ინფორმაცია გაგავრცელებინეს თქვენ, ბ-ნო მიხეილ, იგი ბათუმის შ.რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კათედრის გამგე და ამ საგნის წამყვანი სპეციალისტია. შეიძლება კი ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის კურსს კითხულობდეს კაცი და მან არ იცოდეს ამ ქვეყნის სამოქალაქო ისტორია, მითუმეტეს, საქართველოს ისტორიის ის მოკლე კურსი, რომელსაც სკოლაში მოსწავლეები გადიან? ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა დროისა და პერიოდის ისტორია შეიძლება ერთნაირად იცოდეს ერთმა ადამიანმა. საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებსაც კი თავისი სპეციალისტები ჰყავს. ამდენად მიგვაჩნია, რომ მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ სწორად დაინიშნა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი და მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ისტორიაში მისაღები გამოცდები ჩატარდა „კომპეტენტურად. თუ ამას მნიშვნელობა აქვს, ისიც გავიხსენოთ, რომ მას უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს უკითხავდნენ ცნობილი ისტორიკოსები, პროფესორები: ნ.ჭეიშვილი, მ.სვანიძე, ი.სიხარულიძე და სხვები, მაგრამ მისი სპეციალისტობა სამი ათეული წლის წინათ მოსმენილი ლექციებით კი არ განისაზღვრება, არამედ საქართველოს ახალსა და უახლეს ისტორიაში ცოდნის ყოველდღიური გარლვევებით.

ბ-ნ მ.მახარაძეს ან იმას, ვინც მას ეს ინფორმაცია მიაწოდა, მხედველობაში ალბათ აქვს ის, რომ ბათუმის უნივერსიტეტში ამა წლის მისაღები გამოცდების საქართველოს ისტორიის კომისიის თავმჯდომარე ადრე საქართველოს ისტორიის სხვა სპეციალისტების მსგავსად ლექციებს კითხულობდა სკკპ, სსრკ, ან სოციალისტურ ქვეყნების ისტორიებში. ეს კი იმიტომ ხდებოდა რომ ბათუმის პედინსტიტუტში საქართველოს ისტორია თითქმის არ ისწავლებოდა. ფილოსოფიასაც ხომ მარქსისტულ-ლენინური ეწოდებოდა. უფრო მეტიც, ბათუმის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პირველი გამგე დოც.ა.სურგულაძეც ათეული წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა მხოლოდ სოციალისტურ ქვეყნების ისტორიაში.

რაც შეეხება ბ-ნ მიხეილ მახარაძის განცხადების შესახებ, რომ ბათუმის „უნივერსიტეტში არის საქართველოს ისტორიის კათედრა და საერთოდ ბათუმი არ განიცდის საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა ნაკლებობას“, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კათედრას ერთი წლის ისტორია აქვს, ხოლო ბათუმი, მისივე უნივერსიტეტის ჩათვლით, სამდვილად განიცდის საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა მწვავე ნაკლებობას. უნივერსიტეტში ახლად გახსნილ საქართველოს ისტორიის კათედრაზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთაგან, მისი გამგის, დოც. ა. სურგულაძის გარდა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იძულებული იყო ლექციები ეკითხა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიაში, საქართველოს ისტორიის არც ერთი სპეციალისტი არ არის. ის დაკომპლექტებულია არქეოლოგებით (პროფ.ა.კახიძე, მ/კ შ.მამულაძე), სკკპ და სსრკ ისტორიის სპეციალისტებით (მ.მეგრელიშვილი), მეცნიერული კომუნიზმის სპეციალისტებით (მ/კ ბ.დიასამიძე) და სხვებით.

ალბათ, რომ გაეგო, ბ-ნი მ.მახარაძე იმასაც იტყოდა, რომ ბათუმს უნივერსიტეტში (ფასიანში) ამ წლის მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამ საქმის არასპეციალისტი, არქეოლოგი შ.მამულაძე, ხოლო წევრად — ეთნოგრაფი თ.ფუტკარაძე.

ბ-ნ მ.მახარაძეს თურმე „ბათუმში ყოფნისას“ გაუგია, რომ უნივერსიტეტში ჯერჯერობით ადგილები ვერ გამოუნახეს იმათ, ვინც თავის დროზე თბილისში მიავლინეს მიზნობრივ ასპირანტურაში. არც ეს შეეფერება სინამდვილეს, რამეთუ ისინი უნივერსიტეტს არ მიუვლინებია, ხოლო ბათუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მიზნობრივ ასპირანტურაში ყველა გაგზავნილს უნივერსიტეტი ვერ დააკმაყოფილებს, ამდენი ეთნოგრაფები და არქეოლოგები მას არ სჭირდება. ზოგი მათგანი კი ბ-ნ მიხეილ მახარაძის მსგავსად ერთდროულად ბათუმში ფასიან სასწავლებელში მუშაობს. ამასთანავე ბ-ნ მ.მახარაძეს იმის დროც დარჩა, რომ „რჩევა-დარიგება“ მისცეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, თუ როგორ უნდა წარმართონ მუშაობა. რაც შეეხება თბილისის სამეცნიერო სკოლას, ბ-ნმა მ.მახარაძემ უნდა იცოდეს, რომ ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების უმრავლესობას სწორედ ეს სკოლა აქვს გავლილი.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ.მახარაძის იმ აზრსაც, თითქოს აჭარის „მოსახლეობის აქტიური ნაწილი ხელისუფლებას უჭერდა მხარს და არა ეროვნულ მოძრაობას“. აჭარის მოსახლეობამ ზურგი აქცია არა ეროვნულ მოძრაობას, არამედ ამ მოძრაობას მიტმასნებულ კარიერისტულ ელემენტებს, რომელთაც რბილი სავარძლებისაკენ ეჭირათ თვალი.

ჩვენ ვერც იმაში დავეთანხმებით ბ-ნ მიხეილ მახარაძეს თითქოს „აჭარაში რელიგიური აღმავლობა ისლამური ფუნდამენტალიზმის ნიშნებს ატარებდა“. განა სწორია ბ-ნი მ.მახარაძე, როდესაც აჭარას მუსლიმანურ ქვეყნებს ადარებს? ნუ გავაღიზიანებთ ხალხს, რომელთა შორის დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთ აჭარელს, რომელსაც თავი ქართველად არ მიაჩნდეს. დავანებოთ თავი გულის ამრევ ფილოსოფოსობას, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს. ბ-ნი ელჩიბეი აზერბაიჯანის პრეზიდენტია და მისი ნათქვამი აჭარის შეფასებისათვის არ გამოდგება. ისლამური ფუნდამენტალიზმის პრობლემას არავითარი კავშირი არ აქვს აჭარასთან, ეს პრობლემა აჭარაში არ დგას და არც არასდროს დადგება, აქ ეროვნული თვითშეგნების პრობლემა სამუდამოდ გადაწყვეტილია. რაც შეეხება მრავალრელიგიურობას, საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს მსოფლიოს იმ ცივილიზებულ ქვეყნებს შორის, სადაც ერთისა და იმავე ერში სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები ცხოვრობენ. ხომ გაგიგონიათ: კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცეო.

„საქართველოს“ კორესპონდენტის კითხვაზე — რას ეტყოდა იგი დასკვნის სახით მკითხველებს აჭარის საკითხებთან დაკავშირებით, ბ-ნი მ.მახარაძე პასუხობს: „აჭარის ხელისუფლებასთან თეორიული დავა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, სათქმელი ითქვა და ახლა პოზიციების დაახლოებაზე უნდა ვიზრუნოთ... თუკი დავამკვიდრებთ ურთიერთგაგების ატმოსფეროს, მაშინ თანდათანობით გადაწყდება ის სიძნელეები, რომლებიც დღეს აჭარის წინაშე დგას“.

იბადება კითხვა: რა თეორიული დავა უნდა ჰქონდეს თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკს აჭარის ხელისუფლებასთან? ხომ არ აჯობებდა ეს „თეორიული დავა“ ხალხის კეთილდღეობას მოხმარებოდა და არა გაგონილის გავრცელებას?

გაზ. „საქართველო“ ინტერვიუს შესავალში ბ-ნ მიხეილ მახარაძეს მკითხველს აცნობს, როგორც თბილისის ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის მკვლევარს და სხვა. გაზეთმა, ალბათ, არ იცოდა, რომ ბ-ნ მ.მახარაძეს იმავდროულად ბათუმის ერთ-ერთ ფასიან უმაღლეს სასწავლებელში უჭირავს კათედრის გამგის თანამდებობა. მეცნიერი მრავალია თბილისშიც და ბათუმშიც. ახლა განვსაჯოთ, რა თეორიული დავა უნდა ჰქონდეთ მათ აჭარის ხელისუფლებასთან? ბ-ნი მ.მახარაძე კი მაინც დამთავრებულად თვლის დავას და ელოდება მისი და აჭარის ხელისუფალთა „პოზიციების დაახლოებას,“ თანაც მიაჩნია, რომ „ის სიძნელეები, რომლებიც დღეს აჭარს წინაშე დგას“ გადაწყდება მაშინ, თუ მათ შორის (ე.ი. ბ-ნ მიხეილ მახარაძესა და აჭარის ხელისუფალთ შორის) დამკვიდრდება ურთიერთგაგების ატმოსფერო. შეიძლება ფილოსოფის, ან სხვა ინსტიტუტის კიდევ რომელიმე სხვა მეცნიერ-თანამშრომელმა თავისი პოზიცია წამოუყენოს აჭარის ხელისუფალთ და იგივე მოთხოვოს. შესაძლებელია მესამე, მეოთხე და სხვა მრავალი მეცნიერი გამოჩნდეს ასეთივე პრეტენზიებით. ამ შემთხვევაში რა ვურჩიოთ აჭარის ხელისუფალთ: ყველა მეცნიერ-თანამშრომელთან“თეორიული დავა“ გამართოს, „პოზიციები დაუახლოვოს“, ალიანსში შევიდეს, თუ იმ პრობლემების გადაწყვეტაზე იზრუნოს, რომელიც მოელი საქართველოს წინაშე დგას?

გთხოვთ ამ საპასუხო წერილის გამოქვეყნებას თქვენს გაზეთში. ამით ბ-ნ მ.მახარაძესაც არ მიეცემა საშუალება თქვას, მხოლოდ კულისებიდან მელაპარაკებიანო.

მურად ჩავლეიშვილი
ისტორიკოსი, პოლიტიკურ პარტიათა ისტორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა თეორიის კათედრის გამგე

ოთარ დიოგიძე
პედაგოგიკისა და ზოგადტექნიკური დისციპლინების ფაკულტეტის დეკანი

იაშა დიასამიძე
მათემატიკის კათედრის დოცენტი

ალექსანდრე ბაუეაძე
ისტორიკოსი, პოლიტიკურ პარტიათა ისტორიისა და ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი

ოთარ გიორგაძე
პედაგოგიკის კათედრის დოცენტი

რევაზ დავითაძე
ისტორიკოსი, პოლიტიკურ პარტიათა ისტორიისა და ეკონომიკური თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ავტორების სტილი დაცულია. რედ.

პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატს დაჰყვება... მუშაბელი

არ არსებობს უფრო წმინდა გრძნობა, ვიდრე შვილის სიყვარულია. დედა ძუძუს აწოვებს, მამა არჩენს, ზრდის, წვრთნის, კაცობისა და ზნეობის პრაქტიკულ გაკვეთილებს უტარებს. თუ ღმერთი გაუწყრება და კლასის დამრიგებელმა მშობელი დაუბარა, დედა ეახლება, თუ ბავშვის „დანაშაული“ განსაკუთრებით სერიოზულია — მამა. ერთმა გონებამახვილმა კაცმა თქვა, ჩვენს დროში მშობლის ოცნებაა, შვილი მშვიდობით მიიყვანოს საპენსიო ასაკამდეო. ასაკის რა მოგახსენოთ და უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სავარძლამდე შვილის მშვიდობით მიყვანის ცდუნება კი ძალიან დიდია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ცნობილმა ვექილმა, ბატონმა შალვა რჩეულიშვილმა დროებით დაივიწყა საპარლამენტო არჩევნების რეგლამენტი და გულშემატკივრად მიჰყვა თავის ძეს, დეპუტატობის კანდიდატს ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილს — ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანში, სადაც, წესის მიხედვით, შესვლის უფლება მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრებს, ნდობით აღჭურვილ პირებსა და მეთვალყურეებს აქვთ. არა მარტო მიჰყვა, არამედ ვექილური ხელოვნების უმაღლეს დონეზე შექმნილი საჩივარიც გაუმზადა, რომლის საფუძველზეც საქმეში არც თუ პროფესიულად ჩახედულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამ უბანზე 11 ოქტომბრის კენჭისყრის შედეგები გააუქმა და უკვე გამარჯვებული ჭანდიდატი, საქართველოს სახალხო ფრონტის ჩუღურეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე პეტრე (გოჩა) გავაშელი, კვლავ მაძიებელთა რიგში დააყენა.

ღმერთმა უშველოს, სამსახურში და ოჯახში, პეტრე (გოჩა) გავაშელსაც და ვახტანგ რჩეულიშვილსაც. ჩვენ ერთი რამე გვაინტერესებს: რატომაა, რომ არა მარტო ფალსიფიკაციები, რომლებიც არჩევნებში აღმოჩნდა აქა-იქ, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებიც, უფრო ხშირად, მაინცდამაინც ბლოკი „11 ოქტომბერის“ საზარალოდაა ხოლმე მიმართული?

ჩიტი-კორესპონდენტი

ბევრი წერილი მოდის, სისხლის ცრემლებით სავსე. მათ დაბეჭდვას აზრი არა აქვს, რადგან ომის დროს ერის ძალა და უნარი ომს უნდა მოხმარდეს და არა გოდებას. მკითხველმა შეგვინდოს თუ ათასში ერთხელ ამ წესს დავარღვევთ. ვბეჭდავთ ერთ წერილს.

საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარეს,
პარლამენტის დეპუტატს ბატონ ნოდარ ნათაძეს!

თბილისში, საითნოვას ქ.№16-ში მცხოვრებ
კ.შ. ბარათაშვილის

განცხადება

ბატონო ნოდარ! თითქმის წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც საცოდავი დედაჩემი 93 წლის ლუბა ტრანკაძე დამიწვესოსმა ექსტრემისტებმა, საკუთარ სახლში, ყოფილ „ზნაურის“ რაიონის ცენტრში.

მივმართე მრავალ სახელმწიფო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, მაგრამ დღემდე ვერ მოვახერხე, რომ დედის დაფერფლილ ძვლებს ერთი მუჭა მიწა მივაყარო. ყველა მითითებდა იქითკენ, რომ მე უნდა დამემყარებინა კავშირი რუსის ჯართან და ისინი მომცემდნენ ამის საშუალებას.

ბატონმა ეპიტაშვილმა ასე განმიცხადა:—“შენ უნდა გააკეთო ყველაფერიო“?! —მე რა გამეკეთებინა, როდესაც ვარ ყოფილი პედაგოგი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, შრომის ვეტერანი, მოხუცებული, ეკონომიურად გაჭირვებული და სად შევძლებდი ან შევძლებ მილიონის გადახდას რუსის ოფიცრებისათვის?!

ბატონო ნოდარ!

გთხოვთ, როგორმე იქნებ დამეხმაროთ და მომცეთ საშუალება დედას ორი მუჭა მიწა მივაყარო და იქვე მამაპაპეულ ეზოში დავასაფლაო.

ამას ყოველივეს თქვენ იმიტომ გწერთ, რომ იძულებული ვარ ასე მოვიქცე, ვინაიდან თქვენს მეტს მშველელს ვერავის ვხედავ, არა და ყოველ ღამე სიზმარში მეცხადება დედა და მსაყვედურობს: „შვილო, ძალიან მცივა და საბანი დამაფარეო“! რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

წინასწარ გიხდით ბოდიშს და დიდ მადლობას.

ღრმა პატივისცემით
თქვენი ამომრჩეველი
კ.შ.ბარათაშვილი

20.10.92 წ.

ორ დეკემბერს სრულდება ორი წლისთავი.

ყურადღება!

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან, რომ დასავლეთ საქართველოში არსებულ შეიარაღებულ ჯგუფებს აფხაზი სეპარატისტებისთვის ავტომატები და შვეულმფრენები გადაუცია. ჯერჯერობით მოკლებული ვარ ამ ინფორმაციის შემოწმების საშუალებას, მაგრამ ახლავე შემიძლია განვაცხადო შემდეგი:

პირველი: ეს ინფორმაცია არ მჯერა, რადგან იგი ადამიანის ბუნებისა და ადამიანის ფსიქოლოგიის კანონებს ეწინააღმდეგება.

მეორე: არსებობს **უდანაშაულობის პრეზუმაციის** პრინციპი: არავის აქვს უფლება, კაცს მიაწეროს დანაშაული მანამდე, სანამ ამ დანაშაულის დამტკიცება არ მომხდარა. მით უმეტეს, არავის აქვს უფლება დანაშაული დაუმტკიცებლად მიაწეროს ადამიანთა დიდ ჯგუფს, როცა ვიცით, რა დამდუპველი ტალღის აგორება შეიძლება მოჰყვეს სიძულვილის თუნდაც ერთი ახალი თესლის ჩაგდებას უამისოდაც ცეცხლმოდებულ ნიადაგში!

შევახსენებ ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა ხელმძღვანელებს, პირველ ყოვლისა — რადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელს არჩილ გოგელიას, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ ერის წინაშე.

ნ. ნათაძე

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ახალი რუმინული სამზარეულო „ნონა“
(კუთხის სავარძლით)
ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ: 62—00—67

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

საკერავი მანქანა „ჩაიკა“
იაპონური ძრავით.
ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ: 71—28—51

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წერილი „გაზეთ 7 დღის“ რედაქციას“. მე-5 სვეტის ბოლო აბზაცში ნაცვლად სიტყვისა შეცვლა — უნდა ეწეროს შეკვეცა. ამ სამწუხარო შეცდომამ მნიშვნელოვნად შეცვალა მთელი აბზაცის შინაარსი. რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ჩვენს რედაქტორსა და მკითხველებს.

ნომრის პასუხისმგებელი მორიგე

კობა ლიკლიკაძე

საქართველოს ახლო მომავლის პერსპექტივები

ახლა, როცა საქართველო უნდა შეუდგეს სახალხო მეურნეობის განახლებულ მშენებლობას, ქვეყნის ყველა რესურსი უნდა იქნეს ჩაყენებული მის სამსახურში. ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეზერვს მეორადი მატერიალური ნედლეული წარმოადგენს. მის გამოვლენას, აღრიცხვას და გამოყენებას სახელმწიფო მნიშვნელობა უნდა მიეცეს.

მეორადი ნედლეული წარმოიქმნება სახალხო მეურნეობის აღწარმოების პროცესში საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მოხმარების ჩათვლით. ესაა: სხვადასხვა მარკის ფოლადის, თუჯის, სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, ოქროს, ვერცხლისა და მრავალი სხვა ლითონის და შენადნობის ჯართი და ნარჩენები, ელექტრო და რადიოგადამცემი ხაზების ბოძები, წყალგაყვანილობის, კანალიზაციის და სხვა დანიშნულებისათვის უვარგისი მილები, ნახმარი პოლიეთილენის ფირები და ტომრები, სხვა პოლიმერული მასალები, ნამუშევარი ნავთობპროდუქტები თუ სხვა სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ხე-ტყის გადამუშავების ნარჩენები, ხის და მინის ტარა, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ნარჩენები და მრავალი სხვა.

ბევრ ქვეყანაში მეორადი ნედლეული შეადგენს სახალხო მეურნეობის ნედლეულის ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს. მისი მნიშვნელობა წარმოების ზრდის მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში თანდათან იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ იცვლება თანაფარდობა პირველადი ნედლეულის არსებულ რესურსებსა და წარმოების მზარდ მოცულობას შორის. არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგები მიიღწევა მეორადი ნედლეულის გამოყენებით გარემოს დაცვის საქმეში.

მეორადი ნედლეულის გამოყენების საქმეში დიდი მიღწევებია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ბევრ დარგში ამ მხრივ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ყოფილ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. საკმარისია ითქვას, რომ ფოლადის 75 პროცენტს გდრ იღებს ლითონის ჯართისაგან. მეორადი ნედლეულიდან ადნობს 37 პროცენტ სპილენძს, 45 პროცენტ ტყვიას, 20 პროცენტ თუთიას; სრულად იყენებს ელექტრონული მოწყობილობის ჯართს, ფოტო და კინომასალებს, წუნდებულ ტყვიის აკუმულატორებს. ამ ქვეყანაში მოხმარებადი ქაღალდის 40 პროცენტი უკანვე უბრუნდება წარმოებას. მინის ტარის ხელმეორედ გამოყენება უზრუნველყოფს სასმელებისა და კონსერვების გამოშვებისათვის საჭირო ჭურჭლის 70 პროცენტს. ამისათვის გდრ მოიხმარს მეორადი ნედლეულის საერთო მოცულობის ერთ მესამედზე მეტს.

ამ მხრივ საქართველოში დღემდე ძალზე ცოტა რამ თუ არის გაკეთებული. აქედან გამომდინარე, მივაქცევთ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი ჩვენი საზოგადოებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელის ყურადღებას.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბაჯონ ე.შევარდნაძეს

ღრმად პატივცემულო ბატონო ედუარდ!

მოგეხსენებათ, მეორეული ნედლეული მნიშვნელოვანი მატერიალური რესურსია, რომელსაც დიდი ადგილი უკავია წარმოების მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში. საქართველოსათვის, რომელიც ნედლეულის რიგ სახეობებში რესურსებით ღარიბი რესპუბლიკაა, მის გამოყენებას, ვფიქრობთ, დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში მეორეული ნედლეული თითქმის არ გამოიყენება: ნაწილი დატაცებულია, ნაწილი კი არც აღირიცხება და გარემოსაც აბინძურებს.

მეორეული მატერიალური რესურსების გადარჩენილი ნაწილის შენარჩუნებისა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია რიგი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება.

გთავაზობთ ჩვენს მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით.

1. დადგენილ იქნეს რესპუბლიკაში არსებული ყველა სახის მეორეული მატერიალური რესურსის ნომენკლატურა.

2. მოხდეს მეორეული ნედლეულის გამოვლენა და აღრიცხვა.

3. დღეისათვის გამოუყენებელი მეორადი ნედლეულის რაციონალური გამოყენებისათვის გამოიძებნოს გზები.

4. მეორეულ ლითონურ ნედლეულს (შავ და ფერად ლითონებს, მათ შორის ძვირფას და იშვიათ ლითონებს) მიეცეს სტრატეგიული ნედლეულის კატეგორია.

5. აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი, მათ შორის რეექსპორტის მიზნით შემოტანილისა.

6. დაწესდეს სახელმწიფო შეკვეთა ლითონების ჯართისა და ნარჩენების ჩაბარებაზე. მათი კოორდინირებული გამოყენების მიზნით დაწესდეს, რომ ეს ნედლეული ჩაბარდეს მხოლოდ რესპუბლიკის რესურსების სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქმეოლითს“.

ლითონების ჯართი და ნარჩენები შემდგომი გადამუშავებისათვის მიეწოდება მეტალურგიული და მანქანათმშენებელი კომპლექსების საწარმოებს. დღეისათვის გამოუყენებელი ნაწილი დასაწყობდეს სტრატეგიული მასალების შენახვის წესების სრულად დაცვით, განხორციელდეს მკაცრი კონტროლი მის აღრიცხვიანობაზე. სხვა მეთოდებით გადამუშავებაზე ნებართვის გაცემა მოხდეს ნედლეულის რაციონალურად და ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენების შესახებ პირობის მკაცრად დაცვით.

7. პრივატიზებას არ დაექვემდებაროს საწარმოო-დაწესებულებებში არსებული მეორეული ლითონური ნედლეული.

მეორეული ძვირფასი და იშვიათი ლითონების ჩაბარება მოხდეს სახელმწიფო ფონდში სათანადო ანაზღაურებით ხელსაწყო-დანადგარების და მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლის კვალდაკვალ.

8. მეორეული ძვირფასი და იშვიათი ლითონების სახელმწიფო ფონდში ჩაბარების სისრულეზე პასუხისმგებლობა დაეკისროს საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელს.

9. დაჩქარდეს მეორეული ნედლეულის გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტაციის შედგენა (ანალოგად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გდრ-ის ნორმატიული აქტები — „Вторичные ресурсы. Сборник. М.Юрид..Лит.,1988) და დამტკიცება.

საქართველოს სახალხო ფრონტის
სახელით თავმჯდომარე
ნ.ნათაძე

ინდექსი 66447
ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი